

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
THE CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA



სოციალური მეწახეობა

საქართველოს საზოგადოებრივი
ორგანიზაციების გამოცდილება

2010

სოციალური სანარმო

რა არის სოციალური სანარმო?

სოციალური სანარმო გახლავთ ბიზნეს პრინციპებით მოქმედი სანარმო, რომელსაც გააჩნია სოციალური მისია. ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად. განსხვავებით ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, სანარმოსაგან სოციალურ სანარმოს აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური და სოციალური. აქედან უმთავრესი სოციალურია. ეკონომიკური მიზანი გახლავთ, მხოლოდ საშუალება მეთრე უფრო მნიშვნელოვანი – სოციალური მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, სოციალური სანარმოს მოგება არ იზომება მხოლოდ ფინანსური წარმატებით. გაცილებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი იმ სოციალური პრობლემის მოგვარებაში რისთვისაც იგი შეიქმნა. ხაზგასასმელია ასევე ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რაც სოციალურ სანარმოს ბიზნესისაგან განასხვავებს. ეს არის ხმის უფლება, რომელიც დამოკიდებული არ არის კაპიტალის ფლობაზე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური სანარმოს თითოეულ წევრს თანაბარი ხმის უფლება გააჩნია, მიუხედავად მათი წილობრივი სხვაობისა.

სოციალური სანარმოს მასშტაბი შეიძლება მერყეობდეს სოფლის თემის მაღაზიიდან დიდ სამშენებლო ფირმებამდე, მაგრამ მასშტაბის მიუხედავად, მთავარია, რომ სოციალური სანარმო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სოციალური პასუხისმგებლობისა და ფინანსური წარმატების შერწყმა.

ზონ არიან სოციალური მუწარმეები?

სოციალური მუწარმეები არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ სამეწარმეო საქმიანობის გარკვეულ რისკს საზოგადოების სასარგებლოდ. მათ სურთ, ინოვაციური მიდგომებით გადაწყვიტონ ურთულესი სოციალური პრობლემები. მათთვის დამახასიათებელია ლიდერობა და უნარი, რომ მიზნის მისაღწევად აიყოლიონ თანამოაზრეები. პრობლემების გადაწყვეტისას ისინი იშველიებენ ბიზნეს მიდგომებს და აქედან აკუმულირებულ სახსრებს მიმართავენ სოციალური მიზნებზე. თავიანთ თავში ისინი აერთიანებენ, როგორც საზოგადოებრივად მოაზროვნე ადამიანის ხედვას, ასევე მათ გააჩნიათ ბიზნესის კეთების ცოდნა და უნარები. მათი იდეებისათვის დამახასიათებელია ეთიკურობა, ინოვაციურობა, სითამამე.

სოციალური მუწარმეები კერძო სექტორში ამკვიდრებენ ეთიკურ სტანდარტებს, ხოლო საზოგადოებრივ სექტორს ახალ გამოწვევებს უსახავენ ინოვაციური ბიზნეს მიდგომებით საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში.

სოციალური სანარმოს იზრიდიული ფორმა

სოციალური სანარმოზე საუბრისას არ უნდა შემოვიზღუდოთ რომელიმე კონკრეტული იურიდიული ფორმით. არ უნდა მოვაქციოთ იგი ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმების ჩარჩოებში. იგი უფრო მსოფლმხედველობისა და ხედვის საგანს წარმოადგენს და კანონით დაშვებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმით შეუძლია არსებობა. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, რიგ ქვეყნებში მათ გააჩნიათ კონკრეტული სამართლებრივი ფორმა: სათემო ინტერესის კომპანია (Community Interest Company) - გაერთიანებულ სამეფოში, სოციალური კოოპერატივები - პოლანეთში, A და B ტიპის სოციალური კოოპერატივები - იტალიაში.

რატომ არის საინტერესო სოციალური მუწარმეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სამეწარმეო საქმიანობით დაინტერესება რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული:

- ფონდების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები, სულ უფრო მზარდი კონკურენციის პირობებში. ასეთ

- პირობებში სოციალური საწარმოები ქმნიან რესურსებს მდგრადი განვითარებისათვის;
- ხელს უწყობს ორგანიზაციებს მისიის უფრო სრულად შესრულებასა და გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას;
- გამომუშავებული შემოსავალი პროგრამებს სძენს მეტ მოქნილობას და წარმოადგენს ახალ პროგრამებში ინვესტირების წყაროს შეზღუდვების გარეშე;
- ეხმარება ორგანიზაციებს, უფრო მეტად დარჩნენ მისიაზე ორიენტირებულნი და არ მოუწიოთ მიმართულებების მუდმივად ცვლა დონორთა მოთხოვნების შესაბამისად.

სოციალური საწარმოს როლი

სოციალური საწარმოს რამდენიმე დანიშნულება გააჩნია. პირველ რიგში მას შეაქვს წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მნიშვნელოვანია ასევე მისი წვლილი დასაქმების კუთხით. მით უმეტეს, რომ სოციალური საწარმო ხშირ შემთხვევაში ასაქმებს ე.წ. მოწყველად ჯგუფებს, იმ კატეგორიებს, რომელთაც სხვა პირობებში როგორც წესი უჭირთ დასაქმება. ასევე, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მნიშვნელოვანია მისი როლი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მდგრადობის კუთხით.

სოციალური საწარმოს ადგილი სექტორებთან მიმართებაში

სამ ძირითად სექტორთან მიმართებაში (სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო სექტორები) სოციალურ საწარმოს უკავია შუალედური რგოლი და იგი ნაწილობრივ სამივე სექტორს კვეთავს. საზოგადოებრივი სექტორისაგან იგი სესხულობს საზოგადოებაზე და თემზე ზრუნვის მომენტებს. კერძო სექტორისაგან იგი იღებს ბიზნეს მიდგომებს, ხოლო სახელმწიფოსთან მიმართებაში იგი ხშირად ასრულებს იმ ფუნქციებს, რაც სახელმწიფოს მოვალეობაა, მაგრამ, გარკვეული მიზეზებს გამო, ვერ ასრულებს ამას.

განმარტებები:

ტერმინი „სოციალური მეწარმეობა“ დამკვიდრდა გასული საუკუნის 70-იან წლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. როგორც ზემოთ უკვე ვთქვით სოციალური საწარმო მრავალი ფორმით შეიძლება არსებობდეს და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. აქედან გამომდინარე, მისი განმარტებაც მრავალნაირია:

ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტი. დიდი ბრიტანეთი - „სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომელის უპირველესი მიზანიც სოციალური ხასიათისაა და რომლიც ახდენს მოგების რეინვესტირებას თემში ან ბიზნესში ამ სოციალური მიზნების მისაღწევად. მისი მამოძრავებელი არ არის მოგების ზრდა მეწილეებისა და მფლობელებისათვის.“

NESsT (არამომგებიანი საწარმო და თვითდაფინანსების გუნდი) - „სოციალური მეწარმეობა - სამეწარმეო და თვითდაფინანსების მეთოდები, რომელსაც იყენებენ არამომგებიანი ორგანიზაციები საკუთარი შემოსავლების გენერირებისათვის საკუთარი მისიის მხარდასაჭერად.“

სოციალური მეწარმეების ალიანსი. აშშ (Social Enterprise Alliance) - „ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით.“

ბევრ ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს სოციალური საწარმოს განმარტება. ამ შემთხვევებში ორგანიზაციების სოციალურ საწარმოზე მიკუთვნება ხდება კონცეფციიდან გამომდინარე კრიტერიუმების ბაზაზე.

როგორც აღვნიშნეთ, სოციალური საწარმო არის კერძო, დამოუკიდებელი, სამეწარმეო ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნეს მიდგომებს, რათა ეფექტურად მოაგვაროს თემში არსებული სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემები. ის შესაძლებელია იყოს მოქალაქეთა ჯგუფის მფლობელობაში ან მმართველობაში, კაპიტალის ინვესტორის მატერიალური ინტერესი მინიმუმამდეა დაყვანილი.

ბიოლოგიურ მუხრეობათა ასოციაცია - „ელკანა“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

ასოციაცია „ელკანა“ დაფუძნდა 1994 წელს, 1996 წლიდან ის ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) წევრია. ორგანიზაციის წევრები არიან საქართველოს ფერმერები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეცნიერები, საქართველოში ბიომეურნეობის მდგრადი განვითარებითა და გარემოს დაცვით დაინტერესებული პირები. „ელკანაში“ დღეისათვის 450 პირია გაწევრიანებული.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ 2010 წელს გახდა ISO 9001/2000 სერტიფიკატის მფლობელი. მასერტიფიცირებული კომპანიაა Social-Cert-GmbH (მიუნჰენი, გერმანია). სერტიფიცირების სფეროებია: სამრჩველო განყოფილება და ტრენინგ ცენტრი.

ასოციაციის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას სიცოცხლისუნარიანი (მდგრადი) ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

ასოციაციის წევრებს მიანიჭათ, რომ განვითარებული ბიომეურნეობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის საუკეთესო ფორმის, დამკვიდრება სახელმწიფოში არა მარტო სადი საკვებისა და გარემოს, მომავალი თაობების ჯანმრთელობის საწინდარია, არამედ მას მზარდი ეკონომიკური პოტენციალი მოეპოვება, რომლის რეალიზაციას ხელს შეუწყობს სოფლად ძლიერი თემის ჩამოყალიბება.

ორგანიზაცია შემდეგი სახის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს:

- მეურნეობის მართვის ბიომეთოდებზე გადასვლის გეგმის შემუშავება;
- მეურნეობის ეკონომიკური დაგეგმვა, ოპტიმიზაცია;
- საკონსულტაციო მომსახურება ბიომეურნეობის სფეროში;
- კონსულტაციები ბიზნეს-დაგეგმარებასა და მარკეტინგში;
- ადგილობრივი ტრადიციული ქართული ჯიშების სათესლე და სარგავი მასალის მიწოდება ფერმერთათვის;
- ტრენინგები და სემინარები ბიოაგროწარმოების, სამრჩველო მომსახურების, ბიზნეს-დაგეგმარების, სათემო მობილიზაციის, სოფლის ტურიზმისა და ბიოუსაფრთხოების საკითხებზე.

სოციალური საწარმო

ორგანიზაცია „ელკანა“ ყოველთვის ზრუნავდა წევრი ფერმერებისათვის პროდუქციის გასაღების ბაზრის შექმნაზე. ამ მიზნით წელიწადში რამდენჯერმე ეწეობოდა ღია გამოფენა-ბაზრობები, სადაც ფერმერებს საკუთარ მეურნეობაში წარმოებული ბიოპროდუქტების¹ გაყიდვის საშუალება ჰქონდათ.

ქვეყანაში ღია ბაზრობების აკრძალვის შემდეგ ამ გზით ფერმერთა დახმარება პროდუქციის რეალიზაციაში ვეღარ ხორციელდება. საჭირო გახდა ახალი გზების ძიება.

ფერმერებისათვის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, ორგანიზაციის ინიციატივით 2010 წლის ოქტომბრიდან ფუნქციონირებს მაღაზია „ბიოველი“.

მაღაზიის დაარსებაში თანამონაწილეობით ფინანსური წვლილი შეიტანეს დონორებმა, რომლებიც ასოციაცია „ელკანას“ ბიოაგროწარმოების განვითარების პროგრამას აფინანსებენ, როგორცაა ფონდი HEKS EPPER (შვეიცარია) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და დონორთა კონსორციუმი EED, Misereor (გერმანია) და OxfamNovib (ნიდერლანდები).

¹ საქართველოს კონმდებლობით, ბიომეურნეობაში წარმოებული პროდუქციის დასახელებად მიღებულია ტერმინი „ბიოპროდუქტი“, მის სინონიმებად შეიძლება გამოყენებული იყოს ტერმინები „ეკო“ ან „ორგანული“.





მაღაზიაში წარმოდგენილია „ელკანას“ წვერ მეურნეთა პროდუქტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მაღაზიის პროდუქციის მრავალფეროვნებაზე თავად ჩამონათვალიც მიგვითითებს: ჩაი – მწვანე და შავი, თაფლი - მინდვრის, წაბლის, აკაციის, ალპური, გოლეული ფიჭის (ფიჭის თაფლი), ცივი გამოხდით დამზადებული მხესუმზირის ზეთი, სვანური მარილი, სუნელების ასორტიმენტი, აჯი-კა, ვაშლის ძმარი, მჭადის ფქვილი, სხვადასხვა სახის პარკოსანი მცენარეები, ნატურალური წვენები, ბოსტნეული - კარტოფილი, ხახვი, სტაფილო, ჭარხალი, გოგრა, ვაშლი თხილი, ღვინო - საფერავის და თეთრი ღვინოს რამდენიმე სახეობა.

ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ძველი ქართული ჯიშების და ტრადიციული ქართული კერძების შენარჩუნება-გადარჩენაზე ზრუნვა. სწორედ ამ საქმიანობის გამოძახილია ის რომ დღეს მაღაზიაში წარმოდგენილია გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი ადგილობრივი ტრადიციული კულტურები: ცულისპირა, ცერცვი, მუხუნო, ღომი, ძაძა, ოსპი და ასევე ახალციხური წითელი დოღის ფქვილისაგან გამომცხვარი პური, რომელიც ცხევა საფუარისა და ხელოვნური დანამატების გარეშე და ჯანსაღი პროდუქტია.

ორგანიზაცია ასევე ზრუნავს საქმიანობის მასშტაბის გაფართოებაზე. რეალიზაციაში ახალი სახეობების პროდუქციის შემოტანის მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკებების პროცესი რძის პროდუქტების, სელის, კაკლის მომწოდებელ ფერმერებთან.

ორგანიზაციის სოციალურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მაღაზია ბიოველში ასევე ფართოდ არის წარმოდგენილი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის პროდუქციაც, კერძოდ, მაღაზიაზე პარტნიორული ურთიერთობები აქვს ორგანიზაციებთან: „კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ (შშმ პირების მიერ დამზადებული სანთლები); „ნუკრიანის სახელოსნოები“ (ხელნაკეთი თექის სუვენირები) და სხვ.

მოსახლეობაში ბიოპროდუქტებისა და ადგილობრივი უსაფრთხო პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით მაღაზიაში აგრეთვე წარმოდგენილია სხვადასხვა მწარმოებელთა ორგანიზაციის პროდუქტები, როგორცაა „ბიოფას“ სარეცხი საშუალებები, შპს „დადას“ ეკოლოგიური ხის სათამაშოები.

მაღაზიის ფუნქციონირების დაწყებამ ორგანიზაციას დაანახა ბიო-ფერმერთა ახალი საჭიროებებიც. 2011 წლიდან ძალაში შედის საქართველოს კანონი სურსათის ხარისხისა და უვნებლობის შესახებ, ამ შემთხვევაში ფერმერი უნდა დარეგისტრირდეს როგორც იურიდიული პირი და მის მიერ წარმოებულ პროდუქტზე უნდა ჰქონდეს პროდუქციის წარმოშობის სერტიფიკატი. აღმოჩნდა, რომ ფერმერები არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას და არ არიან მზად ამ ცვლილებებისათვის, ამიტომ ელკანამ ამ კუთხითაც დაიწყო ფერმერებთან მუშაობა.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

მაღაზია მხოლოდ ორი თვეა რაც მუშაობს. მიუხედავად ამისა, უკვე ჩანს პირველი შედეგები. „ბიოველის“ შემოსავლები მთლიანად ფარავს მის ხარჯებს, „ბიოველის“ მოგება კი სრულად რეინვესტირდება საწარმოში.

დღესდღეობით მაღაზიაში პროდუქციის რეალიზაციის საშუალება აქვს 54 ფერმერს.



ასოსიასია „გენეზისი“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „გენეზისი“ 1995 წლის ნოემბერში დაფუძნდა.

ორგანიზაციის მისიაა მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების და მოსახლეობის გა-
ლატაკებული ფენების ჯანმრთელობის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რასაც ორგანიზაცია
ასორციელებს ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდით, ახალი ტიპის ჯანდაცვითი
ცენტრების შექმნით, ჯანსაღი ცხოვრების წესის ცნობიერების დამკვიდრებისა და მოსახლეობის თანა-
მონაწილეობის გზით.

გენეზისის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- სოციალურად დაუცველი ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების კვლევა;
- გაღარიბებული ჯგუფებისა და თემებისათვის თვისობრივად და ხარისხობრივად ახალი, საქველ-
მოქმედო და არამომგებიანი სამედიცინო მომსახურების სტრუქტურების შექმნა და განვითარება;
- ჯანდაცვის და სოციალური დაცვის საკანონმდებლო ბაზის განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის პირველადი განათლება ჯანმრთელობის პრობლემების პროფილაქტიკისა და
მკურნალობის შესახებ;
- ექიმებისა და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებული სასწავლო
პროგრამების მიწოდება და თანამედროვე ლიტერატურით უზრუნველყოფა, ა.შ.

მუშაობის პროცესში ორგანიზაცია მიმართავს პრაქტიკული სამედიცინო მომსახურების პირდაპირი
მიწოდების გზას, როგორც მის მიერ დაარსებული სამედიცინო ცენტრების საშუალებით, ასევე ბინაზე
მომსახურების გზით; იყენებს საგანმანათლებლო ფორმებს, ატარებს სემინარებსა და ტრენინგებს,
კვლევებს და ეწევა გამომცემლობით საქმიანობას და მიზნობრივი ჯგუფის ჯანდაცვითი უფლებების
აქტიურ აღვითარებას.

სოციალური ჯანდაცვა – სოციალური მუშაობა

1995 წლიდან 2000 წლამდე „გენეზისი“ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისათვის სამედიცინო
მომსახურების მიწოდებას, ძირითადად, მობილური („ექიმები ბორბლებზე“ პროექტი) და გასვლითი
სამედიცინო კონსულტაციებისა და კვლევების სახით ასორციელებდა. გასვლითი კონსულტაციები და
გამოკვლევები ტარდებოდა საქართველოს 9 ბავშვთა სახლსა და სოციალური რეაბილიტაციის ცენ-
ტრებში (თავშესაფრებში).

2000 წელს „გენეზისმა“ გერმანელი და შვეიცარიელი დონორების დახმარებით დაარსა თბილისის
ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების კლინიკა, რომელიც უფასო სამედიცინო მომსახურებას
უწევდა და დღესაც უფასოდ ემსახურება მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. გენეზისის
თბილისის საქველმოქმედო კლინიკის შემოსავლის წყაროებს წარმოადგენს პერიოდული გრანტები და
მოსახლეობის თანაგადახდა, რაც, ქალაქის მაღალკონკურენტული ბაზრის პირობებში, სახელმწიფო
მხარდაჭერის გარეშე, ფინანსურ სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს.

2001 წელს, პოლანდიური ორგანიზაცია ნოვიბის ფინანსური მხარდაჭერით, ასოციაცია „გენეზისმა“
კომპლექსური პირველადი ჯანდაცვითი/ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულებები გახსნა ორთა-
ბათუმის თემში (10,500 მოსახლეობისათვის ხელფაჩურის რაიონის 9 სოფელში) და სოფელ თამარიანში
(3,000 მოსახლეობისათვის ლავოდხის რაიონში, აზერბაიჯანის საზღვართან).





„გენეზისის“ სამივე კლინიკა საქართველოში პირველ არამომგებიან სამედიცინო დაწესებულებებს წარმოადგენს და, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით, დღემდე ქვეყანაში ერთადერთ არამომგებიან სამედიცინო მომსახურების სისტემად რჩება.

„გენეზისის“ ამბულატორიული კლინიკების მომსახურების საერთო კომპონენტებია: ზოგადი პრაქტიკის ექიმების, გინეკოლოგის, ქირურგის და პედიატრის მომსახურება, ამბულატორიული ქირურგია და გადაუდებელი დახმარება, დღის სტაციონარი, ლაბორატორია, სადიაგნოსტიკო ფუნქციური დიაგნოსტიკა, პრევენციული სკრინინგული კონსულტაციები, ინტენსიური პირველადი ჯანდაცვითი განათლება. ორთაბათუმის ცენტრის დამატებითი სპეციფიკური მომსახურების კომპონენტებია სამედიცინო რეაბილიტაცია, შინ ზრუნვა მაღალმთიანი ზონის ოჯახებისათვის და იმუნიზაცია.

ასოციაცია „გენეზისის“ სოფლის პირველადი ჯანდაცვის კლინიკების აწყობას წინ უძღოდა საქართველოს რამდენიმე რეგიონში სამედიცინო მომსახურების მიწოდების მდგომარეობის და სახელმწიფო შესაძლებლობების დეტალური შესწავლა. ორივე მიზნობრივი სასოფლო ცენტრი იმ თემებისათვის გაიხსნა, რომელთაც რეალური ამბულატორიული მომსახურების ალტერნატივა არ გააჩნდათ. არცერთ მიზნობრივ ზონაში არა თუ რეგულარულად მომუშავე ამბულატორია, სოფლის აფთიაქიც კი არ იყო.

„გენეზისის“ სასოფლო სამედიცინო ცენტრების აწყობის და გააქტიურების პერიოდში, მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სახელმწიფოს შესაძლებლობაში შედიოდა ქვეყანაში სოფლად პირველადი ჯანდაცვის არსებული მასშტაბის დასაკმაყოფილებლად საჭირო სამედიცინო დაწესებულებათა მხოლოდ 30%-ის რეაბილიტაცია-აშენება.

„გენეზისის“ ორთაბათუმის თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში ჩართვით, სახელმწიფომ ყველაზე ცოტა, ნახევარი მილიონი ლარი დაზოგა - ეს ის დაახლოებით ბიუჯეტია, რაც მსოფლიო ბანკს ამ მასშტაბის პჯდ ცენტრის აშენებაზე უნდა გამოეყო იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გენეზისის უკვე ფუნქციონირებად ცენტრს საერთო ეროვნული პირველადი ჯანდაცვის სისტემის თანაბარუფლებიან კომპონენტად არ აღიარებდა.

სოფლის ტიპის დასახლებებში ახალი პირველადი ჯანდაცვის კლინიკების გახსნის ინიციატივის ძირითადი მიზანი სოფლის გაღარიბებული მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების სათემო/ სოციალური მოდელის შექმნა იყო. მოდელი ეყრდნობოდა სოფლის თემების (ხელვაჩაურის რაიონის 9 სოფლის და ლაგოდეხის რაიონის 3 სოფლის გაერთიანებების) ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის დეტალურ საბაზისო და, შემდგომში, ყოველწლიურ დინამიურ შესწავლას და ამ საჭიროებათა გათვალისწინებას ახალი სამედიცინო მომსახურების აწყობისა და მუდმივი განვითარების პროცესში.

მოდელის აწყობისა და დახვეწის პროცესში ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობდა პირველადი ჯანდაცვის მარეგულირებელ სახელმწიფო სტრუქტურებთან. ამ თანამშრომლობის პროცესში, ორგანიზაციის მიერ მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვის საჭიროებათა ადვოკატირების შედეგად, სახელმწიფომ გაიზიარა ასოციაცია გენეზისის მოდელის ბევრი კომპონენტი და გენეზისთან ერთად პირველადი ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი გაუმჯობესებული სისტემა/ნორმებიც შეიმუშავა.

„გენეზისის“ სოფლის ტიპის პირველადი ჯანდაცვის სოციალური მოდელისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევები იყო:

- უცილებელი და ხარისხიანი პირველადი სამედიცინო მომსახურების გაღარიბებული და რთულად მისადგომი სოფლების მოსახლეობასთან ახლოს მიტანა (სამიზნე სოფლების უდიდესი ნაწილი უამინდობის პირობებში სამედიცინო მომსახურებას მოწვევტილი იყო უგზოობის და უტრანსპორტობის გამო), მაშინ როცა სახელმწიფოს იგივე მომსახურების აწყობის ტექნიკური და ფინანსური საშუალება არ გააჩნდა;
- იმედდაკარგული მოსახლეობის ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვება;

- ♦ მომსახურების მიწოდების პროცესში სოფლის თემების ყველა დაუცველი ფენის წარმომადგენლების მოცვა (ინვალიდები, მოხუცები, ლოგინად ჩავარდნილი ქრონიკული ავადმყოფები, მრავალშვილიანი ოჯახები, ა.შ.) – რაც დამატებითი სახის მომსახურების - შინ ზრუნვის, სათემო რეაბილიტაციის და ინტენსიური სათემო ჯანდაცვითი განათლების დანერგვით განხორციელდა;
- ♦ გადახდისუნარიანობაზე მორგებული სამედიცინო მომსახურების აწყობა (მაგალითად, კონსულტაციების და გამოკვლევების საწყისი ფასი 4-5 ჯერ დაბალი იყო ქალაქის ფასებთან შედარებით);
- ♦ ადგილობრივ მმართველობებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის აწყობა, ერთობლივი მუშაობა და თანადაფინანსება ავადობის გამომწვევი/ხელშემწყობი მიზეზების გამოსასწორებლად (სასმელი წყალი, გზები), თემების მოსახლეობის ერთობლივი მობილიზება, ა.შ.;
- ♦ სოფლის კლინიკების, შესაძლებლობის ფარგლებში, კონკურენტუნარიან და თვითშენახვად სამედიცინო მომსახურების ერთეულებად ჩამოყალიბება - უცხოური გრანტის პარალელურად, დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნება.



სოციალური და ეკონომიკური შედეგები

დღეს „გენეზისის“ ორთაბათუმის თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი საქართველოს ჯანდაცვაში სოციალური მეწარმეობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური გამოხატულებაა.

ცენტრი, რომელიც მთლიანად აწყობილია ირგვლივ მდებარე 9 სოფლის 10,500 მოსახლის ჯანდაცვის და სოციალური მდგომარეობის სრული გათვალისწინებით და სტაბილურობის მისაღწევად ქვეყანაში არსებული თითქმის ყველა ფინანსური შესაძლებლობა აქვს გამოყენებული, სრული სოციალური მდგრადობის და ადგილობრივი მხარდაჭერის პირობებში ფუნქციონირებს. თანდათანობით კლებადი საგრანტო დაფინანსების პარალელურად, ცენტრი 2007 წლიდან იღებს სახელმწიფო პროგრამულ დაფინანსებას, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სადაზღვევო კომპანიებთან და მიმართავს მოსახლეობის თანადაფინანსების წყაროს.



„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მენარჩმთა დასაქმების კავშირი“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეწარმეთა დასაქმების კავშირი“ დაარსდა 2002 წელს. ორგანიზაციის მისიაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობა, დასაქმების ხელშეწყობა და ღირსეული თანაცხოვრებისთვის ყველა აუცილებელი პირობის შექმნა.

ორგანიზაციის მიზნებია:

მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაცია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის უზრუნველყოს თანაბარი პირობები და შესაძლებლობები; მათი დასაქმებისთვის ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და ლობირება, და დახმარება პროფესიულ გადამზადებაში. 2004 წელს დასაქმების კავშირის ბაზაზე შეიქმნა ფესხაცმლის საწარმო, სადაც დასაქმდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპეციალისტები. საწარმოს დაფუძნება შესაძლებელი გახდა ორგანიზაციის „Mercy Corps“ დაფინანსებით.

თავისი არსებობის მანძილზე „დასაქმების კავშირმა“ განახორციელა არა ერთი პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეკერილი ფესხაცმელი, ჰუმანიტარული დახმარების სახით, ურიგდებოდათ სხვადასხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებს. 2005 წლიდან დასაქმების კავშირი არის „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ წევრი.

სოციალური საწარმო

2010 წლიდან დასაქმების კავშირის ერთ-ერთ პრიორიტეტად საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა გახდა. ორგანიზაციამ ოდნავ შეიცვალა პროფილი და თავისი საქმიანობის ჰუმანიტარულ მიმართულებასთან ერთად კომერციულ საქმიანობასაც მიჰყო ხელი.

კავშირის ბაზაზე შეიქმნა ახალი საწარმო და ახალი ქართული სავაჭრო მარკა GEOSHORES.

საწარმოს მიზნებია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობა, დასაქმების ხელშეწყობა და ღირსეული თანაცხოვრებისთვის ყველა აუცილებელი პირობის შექმნა. აგრეთვე, სოციალური მეწარმეობის განვითარება, საკანონმდებლო ცვლილებებისა და ინიციატივების ლობირება.

საწარმოს იდეის განხორციელება და ახალი ბრენდის სარეკლამო ბაზისების შექმნა შესაძლებელი გახდა ბრიტანეთის საბჭოსა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით. ორგანიზაციამ შეიმუშავა სავაჭრო ნიშანი და სლოგანი, დაამზადა ფესხაცმლის სადემონსტრაციო მოდელები და გამოსცა ილუსტრირებული კატალოგი. დასაქმების კავშირს გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი: www.geoshoes.ge, სადაც შესაძლებელია, როგორც დასაქმების კავშირზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება, ასევე სოციალური მეწარმეობის საფუძვლების გაცნობა და GEOSHORES-ის პროდუქციის შექმნა დისტანციური მეთოდით.



ამჟამად ნებისმიერ მყიდველს შეუძლია შეიძინოს მაღალი ხარისხის ფეხსაცმელი და ამასთანავე დაიკმაყოფილოს, როგორც საკუთარი ინტერესი, ასევე გარკვეული წვლილი შეიტანოს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კეთილდღეობასა და სოციალურ ინტეგრაციაში.

გარდა ამისა, დასაქმების კავშირი სხვადასხვა მოწვევადი ჯგუფებისათვის ახორციელებს პროფესიულ გადამზადების კურსებს და ასწავლის ფეხსაცმლის დიზაინს, ფეხსაცმლის დამზადებას, ნამზადის გამომჭრელისა და ნამზადის შეკერვის სპეციალობებს, აგრეთვე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რამაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს როგორც მათ თვითდაფინანსებას, ასევე საწარმოს განვითარების შემთხვევაში თავად ორგანიზაციაში დასაქმებას.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

მიზნების რეალიზაციისა და ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად საწარმო წარმატებით ახერხებს დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მობილიზებას. გარდა ფეხსაცმლის რეალიზებით მიღებული შემოსავლებისა, საწარმოს ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვადასხვა დახმარების პროგრამების ფარგლებში მიღებულ დაკვეთებს, რომელთა ფარგლებშიც მზადდება მოწვევადი ჯგუფებისათვის გადასაცემი ფეხსაცმელი დონორთა დაფინანსებით.

- ♦ დღეისათვის საწარმოში დასაქმებულია „დასაქმების კავშირის“ 12 წევრი, რომელთაგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია ათი წევრი. თითოეული მათგანი აქამდე მხოლოდ პროექტებიდან მიღებული გრანტებიდან იღებს სახელფასო სარგოს.
- ♦ საამქრომ ფეხსაცმლის რეალიზაცია დაიწყო 2010 წლის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში შეკერილია 70 წვეილი ფეხსაცმელი, ხოლო რეალიზებულია 850 ლარის პროდუქცია.
- ♦ პროექტის ფარგლებში დამზადებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად გენერირდება თავად საწარმოში, რასაც განკარგავს ორგანიზაციის გამგეობა (გადაწყვეტილების მიღება ხდება დემოკრატიული პრინციპით და თითოეულ წევრს, განურჩევლად მისი პოზიციისა, გააჩნია მხოლოდ ერთი ხმის უფლება).
- ♦ „საქართველოს კარიტასის“ პარტნიორობითა და ჩეხეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დასაქმება იძულებით გადაადგილებული პირების პროფესიული გადამზადებისა და სოციალური დახმარებისთვის“, რომლის ფარგლებშიც შეიკერა სამასი წვეილი ფეხსაცმელი. ფეხსაცმელები უსასყიდლოდ, ჰუმანიტარული დახმარების სახით, გადაეცა შიდა-ქართლის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს.
- ♦ ამავე პროექტის ფარგლებში მოხდა 15 იძულებით გადაადგილებული პირის პროფესიული გადამზადება, შეიქმნა სამუშაო ადგილები დამატებით სამი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპეციალისტისთვის (სულ 6 სპეციალისტი ახდენდა ბენეფიციარების პროფესიულ გადამზადებას). პროექტის უნიკალურობა იყო ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები თავად ახდენდნენ ინვალიდობის არ მქონე პირების პროფესიულ გადამზადებას.



„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ (გიფ-თბილისი)

სახოგალომბრიზი ორბანიზაცია

ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ (გიფ-თბილისი) არის ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგში მოღვაწე ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია. იგი არის საერთაშორისო ქსელის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ წევრი. ფონდი პასუხისმგებელია სამხრეთ კავკასია-სა და ცენტრალურ აზიაში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის ხელშეწყობაზე. ფონდის მისიაა სფეროში ჰუმანური, ეთიკური და ეფექტური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა და ორგანიზაციათა პროგრესული რეფორმების მხარდაჭერა.

ორგანიზაცია მუშაობს ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებთან. მათ შორისაა რემისიის მდგომარეობაში მყოფი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები; დევნილი მოსახლეობა; დელექტენტი ბავშვები და მათი ოჯახები და სხვა. ორგანიზაციას წელიწადში 800-მდე მოსარგებლე ჰყავს.

მიზნის მისაღწევად გიფ-თბილისი საქმიანობს შემდეგი მიმართულებებით:

- ◆ უზრუნველყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში უახლესი მიღწევების, ტენდენციებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მის სამიზნე რეგიონში;
- ◆ ახორციელებს კვლევებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა სფეროში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომების და ინტერვენციების დასაბუთებად;
- ◆ ფუნქციონირებს როგორც სასწავლო პროგრამების საორგანიზაციო (საფასილიტაციო) ცენტრი;
- ◆ ხელს უწყობს ადგილობრივ ახალ ინიციატივებსა და საუკეთესო მაგალითების დანერგვას – კონსულტირებით, ექსპერტიზით და სხვა მხარდაჭერით;
- ◆ ხელს უწყობს და კოორდინირებს უწევს ფსიქიკური ჯანმრთელობის ადგილობრივი ქსელებისა და კოალიციების დაფუძნებასა და ფუნქციონირებას;
- ◆ ხელს უწყობს თანამშრომლობას ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მოღვაწე სამთავრობო და არასამთავრობო სუბიექტებს შორის, ასევე კროს-სექტორულ თანამშრომლობას;
- ◆ ლობირებს უწევს შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას და დანერგვას, ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიის და პროგრამების შემუშავებას და სტრუქტურული ცვლილებების შეტანას მოცემულ დარგში;
- ◆ აწვობს კონფერენციებს და უზრუნველყოფს ლექციების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ჩატარებას ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით.

გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში ამოსავალი პრინციპია “ფსიქიკური ჯანმრთელობა ყველას!”

სოციალური საწარმო „ოლე“

„გიფ-თბილისში“ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის დაწყების იდეა წარმოიშვა საერთაშორისო ქსელის ერთ-ერთი წევრის – „გიფ-სოფის“ წარმატებული გამოცდილების საფუძველზე. ფონდების მოძიების სულ უფრო მზარდი კონკურენციის პირობებში სოციალური საწარმოები ქმნიან რესურსებს მდგრადი განვითარებისთვის. წარმოებიდან მიღებული შემოსავალი შეიძლება გახდეს ახალ პროგრამებში ინვესტირების წყარო დონორებისგან ნაკარნახევი შეზღუდვების გარეშე. იმავდროულად, ეს საქმიანობა ამცირებს დონორთა დაფინანსებაზე დამოკიდებულებას. თუმცა, მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა ფინანსური ამოცანების შესრულებასა და სოციალური მისიის შესრულებას შორის.



ორგანიზაციის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2010 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა სოციალური საწარმო, რომლის სამარკო ნიშანია „ოლე“. საწარმოში მზადდება ხის სათამაშოები და საბავშვო ავეჯი. გამოშვებული პროდუქცია, ძირითადად, გათვალისწინებულია 2 წლის და უფროსი ასაკის ბავშვებისთვის. რიგ შემთხვევებში – მოზრდილებისთვისაც.

„ოლეს“ პროდუქცია მზადდება ხის მაგარი ჯიშებისგან. ზედაპირი მუშავდება გერმანული წარმოების საღებავებითა და სპეციალური ზეთებით, რომელიც სპეციალურად ბავშვის სათამაშოებისთვის გათვალისწინებული უსაფრთხოების ევროპული სტანდარტების შესაბამისია. აღნიშნული მასალებით დამუშავებული ხის ნაწარმი სრულიად უსაფრთხოა ბავშვის ჯანმრთელობისთვის, მედგვია ოფლის და ნერწყვის მიმართ. პატარები ხომ სამყაროს ხშირად საგნების პირში ჩადებთაც შეიცნობენ. ასევე, ხიწვებით ფიზიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ფიგურებს გლუვი ზედაპირი და დამუშავებული წახნაგები აქვს. „ოლეს“ ამოსავალი პრინციპია ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქციის შექმნა.

სავარაუდოა, რომ პროდუქციის მოხმარებით მოსახლეობაში გაიზრდება მგრძობელობა უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიმართ.

ხის საწარმო „ოლეს“ დაფუძნებასა და საქმიანობის დაწყებაში ფინანსური დახმარება გაუწია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

საწარმომ პროდუქციის გამოშვება დაიწყო 2010 წლის ოქტომბრიდან. პირველ ეტაპზე შეიქმნა 10 დასახელების პროდუქციის ნიმუში, რომელთაგან დაწყებულია 3 დასახელების სერიული დამზადება რეალიზაციისათვის. რეალიზაციის დაწყება იგეგმება დეკემბრიდან. ამასთან დაკავშირებით, ორგანიზაცია მოლაპარაკებას აწარმოებს ადგილობრივ შესაბამისი პროფილის მაღაზიებთან, დიდ საეკსპორტო ქსელებთან, საბავშვო ბაღებთან. პროდუქციის შესახებ ინფორმაცია ასევე აქტიურად გავრცელებულია სოციალური ქსელის მეშვეობით. საწარმო ორიენტირებულია არა მხოლოდ ერთხელ შემუშავებული მოდელების გაყიდვების რაოდენობის გაზრდაზე, არამედ ასევე გეგმავს პროდუქციის სახეების გამრავალფეროვნებას.

საწარმოში ამ ეტაპზე დასაქმებულია 4 ადამიანი, მათ შორის ერთი – ახალგაზრდა პრობაციონერი.

აღნიშნული სოციალური საწარმოს შემოსავალი გათვლილია „გიფ-თბილისის“ მცირე ბიზნესის თემატური პროექტების განსახორციელებლად, როგორცაა მაგალითად, უკვე მოქმედი „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ (გორი) საქმიანობის გაგრძელება, „ოჯახსა და ბავშვზე ზრუნვის ცენტრის“ (თბილისი) საქმიანობის თანადაფინანსება. თანხის ნაწილის რეინვესტირება მოხდება საწარმოშივე, საქმიანობის მომავალი განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული ორივე ცენტრის სერვისის მომხმარებლებისთვის საწარმო „ოლეში“ დამზადებული პროდუქცია უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი. ამ სერვისებით წელიწადში სულ ცოტა 300 ბავშვი ისარგებლობს.



ციფშიძის 49ა, 0162, თბილისი,
ტელ: +995 32 235 314 / +995 32 214 006
ფაქსი: +995 32 214 008
ელ. ფოსტა: tbilisi@gip-global.org
ვებგვერდი: www.gip-global.org

გიზლიოთაქა - კულტურული სენტივი უზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის „თანადგომა“



საზოგადოებრივი ორგანიზაცია

1999 წელს, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაარსდა ბიბლიოთეკა „თანადგომა“. ხოლო 2001 წლის 15 თებერვლიდან ორგანიზაცია დარეგისტრირდა არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციის სტატუსით, როგორც „ბიბლიოთეკა-კულტურული ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანადგომა“.

ორგანიზაციის მისია: „ჩვენ გვსურს დავძლიოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური გაუცხოება და ხელი შევუწყოთ მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას.“

ორგანიზაციის მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება.

დღიდან დაფუძნებისა, ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებდა შემდეგი მიმართულებებით:

- ◆ საკვირაო სკოლის ფუნქციონირება;
- ◆ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის ხელშეწყობა;
- ◆ ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სხვადასხვა ინკლუზიური განათლების პოპულარიზაცია;
- ◆ ჰუმანიტარული აქციების განხორციელება;
- ◆ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

სოციალური საწარმო

საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ორგანიზაცია სისტემატიურად ახორციელებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების არაფორმალურ განათლებასა და სოციალურ რეაბილიტაციაზე მიმართულ პროგრამებს (ბენეფიციარები ეუფლებოდნენ უცხო ენებსა და კომპიუტერთან მუშაობას, ეცნობოდნენ ქვეყნის ისტორიას და საინტერესო მოვლენებს.) თუმცა, დონორის დაფინანსებაზე მყოფი ყველა ორგანიზაციისათვის ნაცნობია სიტუაცია, როდესაც პროექტი სრულდება - ეს მტკივნეულია როგორც ორგანიზაციის, ასევე მისი ბენეფიციარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ „თანადგომა“-ს 10 წლის მანძილზე თითქმის არ ქონია დაფინანსების წვეჭა სხვადასხვა დონორის მხრიდან, მაინც განსაკუთრებული სიმწვავეთ იდგა საკითხი დაფინანსების დამატებითი წყაროს მოძიებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ჩვენი ბენეფიციარების ასაკის მატებასთან ერთად იცვლებოდა მათი საჭიროებები და მოთხოვნილებები.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ბოლო ორი წლის განმავლობაში ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფესიული უნარ-ჩვევების სწავლებას. 2009 წლის დეკემბრიდან, საქართველოში, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სმენის არ მქონე 15 ახალგაზრდა ეუფლება სხვადასხვა ხელნაკეთი სუვენირის დამზადების უნარ-ჩვევებს. დღეს ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის გამოფენა-გაყიდვებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საკუთარი ნაწარმის გაყიდვის შესაძლებლობა ეძლევათ.

გარდა კურსების საშუალებით ახალგაზრდებს უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა, ორგანიზაცია პროდუქციის გასაღებისათვის კავშირების დამყარებაშიც ეხმარება მათ და იაფიანი და ხარისხიანი საჭირო მასალის შექმნის პუნქტებზეც აწვდის ინფორმაციას. ასევე, ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს



იღობს სხვადასხვა სახის გამოფენა-გაყიდვებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საკუთარი ნაწარმის გაყიდვის შესაძლებლობა ექმნებათ.

ორგანიზაციისათვის, გარდამტეხი აღმოჩნდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ, სოციალური მეწარმეობის განვითარების ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსი, რომლის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა „თანადგომა“.

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა მინი სასუვენირო-პოლიგრაფიული საამქრო, სადაც დასაქმებულია სხვადასხვა შეზღუდვის მქონე 6 ახალგაზრდა. ამჟამად ისინი გადიან სასწავლო კურსს, სადაც ეუფლებიან სხვადასხვა სახის პროდუქციის მომზადებას:

- ◆ სასაჩუქრე ჩანთები (ქაღალდის);
- ◆ სასუვენირო ჭიქები (მასზე დატანილი საქართველოს ღირსშესანიშნაობათა ხედებით);
- ◆ ღია-ბარათები (როგორც თემატურ - სადღესასწაულო, ასევე საქართველოს ღირსშესანიშნაობათა ხედებით).

ასევე მომხმარებელს სვთავაზობენ შემდეგ მომსახურებას:

- ◆ საეიზიტო ბარათების დამზადება;
- ◆ ლამინირება (სხვადასხვა ზომის დოკუმენტი);
- ◆ აკინძვა (“ჰენდაუტები”, კონსპექტები).

უახლოეს მომავალში ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს თავისი საქმიანობის გაფართოება და მის მიერ წარმოებული პროდუქციის გამრავალფეროვნება. კერძოდ, ქსოვილის ჩანთების დამზადება, მაისურებზე ბეჭდვა, ქსეროასლების გამრავლება.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

ორგანიზაცია აღნიშნულ პროექტს ახორციელებს მხოლოდ ექვსი თვეა, რომლის პირველი სამი თვე მოსამზადებელ აქტივობებს მოიცავდა (აღჭურვილობისა და მასალების შექმნა, სასწავლო კურსის ორგანიზება), შესაბამისად საქმიანობის ეკონომიკურ შედეგებზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა, თუმცა პირველი შედეგები უკვე სახეზეა:

- ◆ სულ ორგანიზაციის სამეწარმეო საქმიანობაში დასაქმებულია 9 თანამშრომელი, მათგან 7 შშმ პირია;
- ◆ ხელნაკეთი სუვენირების დამზადების ტექნიკას დაეუფლა 15 პირი, და ამჟამად კიდევ კიდევ 15 ადამიანის ეუფლება ხელობას;
- ◆ ახალგაზრდების მიერ შესრულებულია პირველი შეკვეთა (დამზადდა მოსაწვევი ბარათები და სამკერდე ნიშნები).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ორგანიზაცია ბიბლიოთეკა - კულტურული ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის „თანადგომა“ მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრირება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზაციის სამეწარმეო საქმიანობა და მისი სოციალური მისიაც ამავე მიზანს ემსახურება.



ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. # 68
 ტელ: + (995 32) 96 74 62;
 + (995 32) 96 11 39
 ელ. ფოსტა: isharikadze@yahoo.com;
 nana9872001@yahoo.com
 ვებგვერდი: www.tanadgoma.org.ge

„ინტერნიუსი-საქართველო“



საზოგადოებრივი ორგანიზაცია

ორგანიზაცია „ინტერნიუსი-საქართველო“ 1997 წლიდან მოღვაწეობს.

ორგანიზაციის მისიაა გააუმჯობესოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დამოუკიდებელი მედიის გაძლიერებისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო, ღია საკომუნიკაციო პოლიტიკის სტიმულირების გზით. „ინტერნიუსის“ საინფორმაციო და საგანმანათლებლო ვიდეო-აუდიო პროგრამები, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები და მის მიერ ახალი ტექნოლოგიების ინოვაციური გამოყენება ემსახურება ფართო აუდიტორიასა და მედიის პროფესიონალებს, რათა ისინი კიდევ უფრო გააქტიურდნენ პოლიტიკური და სოციალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს.

„ინტერნიუსი-საქართველო“ სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს:

სერტიფიცირებული სასწავლო კურსები/ტრენინგები: დამოუკიდებელი მედია სექტორის გაძლიერების, მედია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, პროფესიონალიზმის და ჟურნალისტური ეთიკის ამაღლების მიზნით, „ინტერნიუსის“ სასწავლო პროგრამები მაქსიმალურად მორგებულია ადგილობრივი მედია საშუალებებისა და მოქმედი პროფესიონალების საჭიროებებს, ხოლო მეთოდოლოგია საშუალებას აძლევს პროგრამის მონაწილეებს თეორიული ცოდნა შეაჯერონ პრაქტიკულ გამოცდილებასთან. „ინტერნიუსის“ ყველა სასწავლო კურსი ემსახურება თეორიული ცოდნის ამაღლებას, პრაქტიკული უნარების შექმნა/დახვეწას, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროფესიონალური დამოკიდებულებების გამომჟღავნებას. „ინტერნიუსის“ ტრენინგების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს სატელევიზიო და რადიო რეპორტაჟის წარმოებას, თემატურ ჟურნალისტიკას, დოკუმენტური ფილმებისა და ტელე-დებატების წარმოებას, არჩევნების გაშუქებას, მედია მენეჯმენტს, სხვა.

ვიდეო, აუდიო, ბეჭდვითი და ონლაინ წარმოდგენა: „ინტერნიუსის“ ვიდეო, აუდიო, ბეჭდვითი და ონლაინ წარმოდგენა ემსახურება საზოგადოების ინფორმირებასა და მის განათლებას ისეთ სფეროებში, რომლებიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის, მაგრამ, როგორც წესი, იგნორირებულია წამყვანი მედია საშუალებების მიერ. აღნიშნული სფეროებია: ადამიანის უფლებები, კანონის უხედავობა, ბავშვთა საკითხები, არალეგალური მიგრაცია და ტრეფიკინგი, ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია, ეთნიკური კონფლიქტი და მისი დაძლევის გზები, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, გენდერული საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა და მრავალი სხვა. „ინტერნიუსის“ აწარმოებს დოკუმენტურ ფილმებს, სოციალურ სარეკლამო რგოლებს, სატელევიზიო და რადიო პროგრამებს, ბროშურებსა და პოსტერებს, ვებ-საიტებს, ა.შ. ეს აქტივობა ხორციელდება ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ადვოკატირება: დამოუკიდებელი და პროფესიონალური მედიის განვითარების მიზნით, „ინტერნიუსის“ მხარდაჭერით ჩამოყალიბდა „საქართველოს ტელე და რადიო მაუწყებელთა ასოციაცია“ და „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია“, რათა მაუწყებლებს ერთიანი ძალისხმევით დაეცვათ ტელე-რადიო ინდუსტრიის ინტერესები. „ინტერნიუსის“ საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ 27 წევრი ორგანიზაციის და სხვა ელექტრონული მედია საშუალებებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

„ინტერნიუსის“ სამენოვანი (ქართული, რუსული და ინგლისური ენები) ვებ-გამოცემა www.media.ge



2006 წლიდან ფუნქციონირებს და ემსახურება 1400 ხელმომწერს და საშუალოდ 700-900-მდე ყოველდღიურ უნიკალურ მომხმარებელს. ამ პროექტის მიზანია შექმნას ინფორმაციის გაცვლის მდგრადი და პროფესიონალური სისტემა, რაც აკავშირებს საქართველოს მედიის წარმომადგენლებს სამოქალაქო საზოგადოების სხვა აქტიორებთან.

„ინტერნიუსი-საქართველო“ რამდენიმე ჯილდოს მფლობელის. კერძოდ, 2003 წელს „ინტერნიუსის“ სოციალურ-საგანმანათლებლო კამპანია, რომელიც შედგებოდა 12 სოციალური სატელევიზიო რგოლისგან, დაჯილდოვდა „ოქროს ედიტ“ (Gold Addy), როგორც წლის საუკეთესო სარეკლამო კამპანია.

2005 წელს გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების ეთიკის კოდექსის ვერცხლის ხუთი პრინციპის კავალერი, 2006 წელს, პირველ ეროვნულ ინტერნეტ-კონკურსზე, „ინტერნიუსის“ მედია პორტალმა www.media.ge დაიკავა მესამე ადგილი და დაჯილდოვდა „ბრინჯაოს დიპლომით“, ნომინაციაში საქართველოს საუკეთესო ვებ-პროექტი ყველა საჯარო, არასამთავრობო და რეგიონულ ვებ-რესურსებს შორის.

„ინტერნიუსი-საქართველო“ არის საერთაშორისო ორგანიზაციების „ინტერნიუს ინტერნეშენალის“ (Internews International) და „მედიის განვითარების საერთაშორისო ფორუმის“ წევრი (Global Forum for Media Development).

სოციალური საწარმო

ორგანიზაციის სტაბილურობისა და ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით ინტერნიუსი-საქართველომ გადაწყვიტა ეწარმოებინა დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა და 1997 წელს დააარსა შპს „ინტერნიუს სერვის ცენტრი“.

გასაკვირი არაა, რომ ორგანიზაციამ ეკონომიკური საქმიანობის სფეროდ ისევ მედია აირჩია. მისი საქმიანობის სპექტრი მეტად მრავალფეროვანია: ვიდეო-აუდიო მასალების, მათ შორის სარეკლამო რგოლების და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების მომზადება; სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის ფოტო არქივების შექმნა; სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, პრომო აქციების ორგანიზება; საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება; საინფორმაციო-საგანმანათლებლო მედია-კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზება; მხატვრული და დოკუმენტური ვიდეო ფილმების თარგმნა და გახმოვანება. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მსგავსი ტიპის მომსახურებისთვის გარკვეული შეღავათებია დაწესებული.

ორგანიზაციის ფასიანი მომსახურება ასევე მოიცავს ტრენინგ-პაკეტებს როგორც ჟურნალისტებისათვის, ისე ოპერატორებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით;

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ ბაზარზე საკუთარი ნიშა მონახა: იგი ძირითად ორიენტირებულია სოციალური ტიპის რეკლამების დამზადებაზე. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ პირდაპირ პასუხობს ორგანიზაციის მიზნებსა და მისისას და, მეორეს მხრივ, ამ ბაზარზე ორგანიზაცია კონკურენტუნარიანია და კარგად პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს.

სხვადასხვა დროს ორგანიზაციას ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებაში ხელი შეუწევს რიგმა საერთაშორისო ფონდებმა და ორგანიზაციებმა: ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, დემოკრატიის ნაციონალური ფონდი, აშშ საელჩო საქართველოში, ბრიტანული საბჭო, ბრიტანეთის საელჩო, ეუთოს მისია საქართველოში და ეუთოს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში, ევრაზიის ფონდი, და ბრიტიშ პეტროლიუმი, IRI, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.





სოციალური და ეკონომიკური შედეგები

ინტერნიუსის შემოსავლებში დაახლოებით 20% ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „ინტერნიუსის“ ორგანიზაციული ბიუჯეტი საკმაოდ მაღალია (2009 წელს დაახლოებით 584,000 აშშ დოლარი), სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსული თანხები საკმაოდ შთამბეჭდავია.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალადა ორგანიზაციის მისიის რეალიზაციას ხმარდება და ხშირად „ინტერნიუსი-საქართველოს“ სხვადასხვა პროექტების სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებისთვის გამოიყენება. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „ჩვენი ექსპრესი“, რის ფარგლებშიც შეიქმნა ალტერნატიული სივრცე ახალგაზრდებისათვის ორიგინალური და განსხვავებული იდეების მასშედიისა და სოციალური ქსელებით გავრცელებისათვის, აღნიშნული პროექტი მთლიანად ეკონომიკური საქმიანობით დაფინანსდა.

რიგ შემთხვევებში დაფინანსებების წვევტებს შორის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით ხდება ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობების დაფინანსება. ამის ნათელი მაგალითია პორტალი www.media.ge. აღნიშნული პორტალის მეშვეობით ორგანიზაცია უფასო მომსახურებას უწევს 1400-მდე მომხმარებელს. ხშირია ასევე შემთხვევები, როცა საზოგადოებრივი ორგანიზაცია პილოტურ პროექტებს აფინანსებს ეკონომიკური საქმიანობის მეშვეობით და მხოლოდ შემდეგ იწყება ზრუნვა გარე დაფინანსების მოძიებაზე.

მომსახურების სექტორი წლების განმავლობაში უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. კვალიფიკაციისა და გამოცდილების გაუმჯობესების საფუძველზე, ორგანიზაცია ცდილობს ახალი სექტორების ათვისებას.

„ინტერნიუსი-საქართველოს“ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის - ფინანსურ სტაბილურობას გარკვეულწილად მისი ეკონომიკური საქმიანობაც უზრუნველყოფს.

ორგანიზაციის ცნობადობის გაზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის სამეწარმეო საქმიანობას, რადგან ორგანიზაციის ბაზაზე დამზადებული პროდუქცია და მის მიერ მიწოდებული სერვისები ფართო საზოგადოებაზე გათვლილი.



იაშვილის ქ. 14/22, 0105, თბილისი
ტელ: (995 32) 92 33 95, 92 33 96,
92 33 97, 92 33 98
ფაქსი: (995 32) 920425
ელ. ფოსტა: office@internews.ge
ვებგვერდი: www.internews.ge

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი „ისტორიალი“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი 1995 წელს დაარსდა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. ორგანიზაციის მიზნებია:

- ◆ კულტურული ინდუსტრიებისა და ქართული ხალხური რეწვისა განვითარების ხელშეწყობა;
- ◆ კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების ეკონომიკური ბაზის განვითარება, ალტერნატიული შემოსავლების წყაროების მოძიება და ამ გზით მათი მდგრადობის ხელშეწყობა;
- ◆ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია;
- ◆ საერთაშორისო კავშირების და კულტურული გაცვლების, ქართველოლოგიური კვლევების ხელშეწყობა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ორგანიზაციაში მიმდინარეობს შემდეგი პროგრამები:

- 1) კულტურის ინდუსტრიის და ხალხური რეწვის განვითარება და მარკეტინგი;
- 2) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და კონსერვაცია;
- 3) საგამოფენო საქმიანობა;
- 4) ქართული კულტურის კვლევის საერთაშორისო ინიციატივა.

დაარსებისთანავე ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ერთ ერთი მიზანი იყო ხალხური რეწვის და კულტურის სფეროს ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესების საფუძვლების შექმნა, რაც თავისთავად ითვალისწინებს სოციალური მეწარმეობის განვითარებას. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პროექტების ბაზაზე 500-მდე ინდივიდუალურმა მეწარმემ და მცირე საწარმომ მიიღო მომსახურება, როგორც ტრენინგების სახით, ასევე ადგილობრივი ბაზრის მოძიებით და საერთაშორისო ბაზრობებზე მონაწილეობით.

პროგრამის „კულტურული ინდუსტრიების და ქართული ხალხური რეწვის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ცენტრს, ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით (ბრიტანეთის საბჭო, Aid To Artisans, GTZ/GEPA, Know How Fund, Save the Children/USAID) განხორციელებული აქვს 10-მდე პროექტი. აღნიშნული პროექტების განხორციელებისას ცენტრი სამიზნე ჯგუფებს სთავაზობს ტრენინგებს და მუდმივ კონსულტაციებს ისეთ საკითხებში როგორცაა: პროდუქციის განვითარება, ხალხური რეწვის თანამედროვე ბაზრის მოთხოვნები, პროდუქციის წარდგენა, ხალხური რეწვის ბიზნესის მენეჯმენტი და ა.შ.

ქართული ხალხური რეწვის პროდუქციის მარკეტინგის მიზნით ცენტრი სისტემატურად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო ბაზრობებზე და გამოფენებზე, კერძოდ:

- ◆ „Museum Expression“ პარიზი, საფრანგეთი, 2005-2006 წ.წ.;
- ◆ Tendence – ფრანკფურტი, 2001 წ.;
- ◆ სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის ექსპორტის შესაძლებლობების გამოფენა იაპონიაში, JETRO-ს თანადგომით 2001 წ.;
- ◆ ხალხური რეწვის ოსტატთა საერთაშორისო შეხვედრა, ბასანო დელ გრაპა იტალია 1999წ., 2000წ.;
- ◆ New York Gift Fair, ნიუ-იორკი, აშშ 1996, 2002;
- ◆ ევროპელ და ლათინო ამერიკელი ოსტატების პირველი სამიტი, სარაგოსა, ესპანეთი, 1998წ.;
- ◆ Artigianato del Fiera 1998 წ., 2000 წ., 2002 წ., მილანი, იტალია;



- ♦ Euro Art 99. მადრიდი, ესპანეთი.

ამავე დროს, ხალხური რეწვის ადგილობრივი ბაზრის განვითარების და ოსტატებისთვის პროდუქციის გაყიდვების სტიმულირების მიზნით, ცენტრში ფუნქციონირებს მაღაზია-სალონი „ისტორიალი“.

სოციალური საწარმო

ცენტრში სოციალური მეწარმეობის განვითარების იდეა უკავშირდება 2000 წ. საქართველოში “PHILIP MORRIS MANAGEMENT SERVICES B.V.” წარმომადგენლობის და ამერიკელი ორგანიზაცია Aid To Artisan-ის მხარდაჭერით ბრენდი „ისტორიალის“ დაარსებას. საწარმოს ძირითადი ფილოსოფიაა შეინარჩუნოს ნივთის ისტორიულ-მხატვრული ღირებულება და აქციოს იგი თანამედროვე აქსესუარად. ბრენდის სლოგანია - „უძველესი ისტორია თანამედროვე დიზაინში“.

ბრენდი „ისტორიალის“ კოლექცია ემყარება ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას და რეწვის ტრადიციებს; ამჟამად იგი შედგება პროდუქციის ორი ხაზისგან: სამკაული და აქსესუარები, სულ დაახლოებით 130 ნივთი. კოლექციის თითოეული ნიმუშის დიზაინი ეფუძნება საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს მონაპოვარს. იქმნება სპეციალური დიზაინი, რომელიც ინარჩუნებს ნივთის ისტორიულ მნიშვნელობას, ისტორიულ შემეცნებითი ფუნქციის მატარებელია და ამავე დროს გარდაქმნის მას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ამგვარად „ისტორიალის“ პროდუქციას თავისი წვლილი შეაქვს ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში.

პროდუქციის დამუშავება ხდება ხელით, ძირითადად, ვერცხლისგან ან თითბერისაგან (პროდუქციის ნაწილი მოქპროვილია). ასევე გამოიყენება მინანქარი, ქვებით ინკრუსტაცია და სხვა ტრადიციული მასალა და ტექნიკა. ხელნაკეთი პროდუქცია არ არის მაღალტირაჟიანი. ცენტრის პოლიტიკაა გალერეებთან და სამუზეუმო მაღაზიებთან თანამშრომლობა. მას ასევე გააჩნია საკუთარი “Show Room“-ი და კორპორატიული კლიენტურა. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. www.gaccgeorgia.org).

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

სოციალურ საწარმოში ამჟამად დასაქმებულია 25-მდე ოსტატი, რომლებიც 130-ზე მეტი დასახელების პროდუქტს ქმნიან; აღნიშნულ საქმიანობაზე ორგანიზაციის შემოსავლებში 10% მოდის, რაც საშუალებას აძლევს ცენტრს იმუშაოს ახალი ოსტატების მოზიდვაზე, მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ ბაზრობებსა თუ გამოფენებში, განახორციელოს ღონისძიებები და გამოფენები ქართული კულტურული მემკვიდრეობის და ხალხური რეწვის პოპულარიზაციის და დაცვის მიზნით.

სოციალურმა მეწარმეობამ და უშუალოდ ბრენდის „ისტორიალის“ ჩამოყალიბებამ, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავად ორგანიზაციის ცნობადობის ამაღლებაში და, მეორეს მხრივ, კი, ზოგადად, ქართული ისტორიული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. „ისტორიალი“ და მისი პროდუქცია არის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ განხორციელებული თითქმის ყველა პროგრამისა თუ პროექტის თანმხლები, რაც, საერთო ჯამში, ქართული კულტურის პოპულარიზაციას და კულტურის ეკონომიკის გამყარებას ემსახურება.

ნიკო ნიკოლაძის ქ. 7, 0108, თბილისი
 ტელ: 995 32 931335
 ფაქსი: 995 32 921335
 ელ. ფოსტა: gacc@gaccgeorgia.org
 ვებგვერდი: www.gaccgeorgia.org



„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტერესების და უფლებების დაცვის, ინვალიდთა უფლებების დაცვისა და მათი ღირსების ფუნქციის მიზნით საქართველოში არაერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია მუშაობდა. მიუხედავად ამისა, მათ შორის არ არსებობდა კოორდინაცია და ერთიანი მოქმედების გეგმა. ამ ვითარების გამო დაიბადა იდეა საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა, სადაც გაერთიანდებოდა ინვალიდობის თემაზე მომუშავე ყველა ორგანიზაცია. საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა 1997 წელს და მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსგავსი ტიპის ორგანიზაციების კოორდინირებულ და უფრო ქმედით მუშაობას. 2003 წელს კი საკოორდინაციო საბჭოს ბაზაზე შეიქმნა „ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია“, სადაც გაერთიანებული იყო 51 ორგანიზაცია. რამდენიმე ხანში ნაწილი ორგანიზაციების დაიშალა, ზოგიერთების წევრები კი სხვადასხვა ორგანიზაციებში გადანაწილდნენ და საბოლოოდ კოალიციაში დარჩა 23 ორგანიზაცია. ამ დროისათვის კოალიციამ შეიცვალა სახელიც და დაერქვა „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.“

„კოალიციის“ მისიაა ნებისმიერი ადამიანისთვის შეიქმნას თანაბარი პირობები პოტენციალის გამოსავლენად და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მაქსიმალურ ჩართვას საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამისათვის „კოალიცია“ ცდილობს აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება და მასში დამკვიდრებული ტრადიციული მიდგომები ინვალიდებისა და ინვალიდობის მქონე ადამიანების მიმართ, ჩაანაცვლოს ისინი თანამედროვე მიდგომებით, რაც გულისხმობს: შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება, ფიზიკური გარემო, კანონმდებლობა და არა ინვალიდობის მქონე ცალკეული ადამიანი.

კერძოდ, „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ცდილობს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერას და ინსტიტუციურ განვითარებას, რომელთა საქმიანობაც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი სამოქალაქო უფლებებისა და შესაძლებლობის დაცვასა და მომსახურებაზე.

„კოალიცია“ საერთაშორისო ნორმებისა და კონვენციებზე დაყრდნობით, ეროვნულ დონეზე ხელს უწყობს კანონმდებლობისა და აღსრულების სახელმწიფო სისტემის სრულყოფას. აგრეთვე ფიზიკურ გარემოში უნივერსალური დიზაინის დანერგვას და დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიის პოპულარიზაციას.

2006 წლის მანძილზე რამდენიმე ფონდისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით „კოალიციამ“ გაიუმჯობესა როგორც პერსონალის ცოდნა და უნარ-ჩვევები, ისე შეიტანა გარკვეული ცვლილებები წესდებაშიც, განისაზღვრა მომავალი მოქმედებების სტრატეგიული გეგმა. მის ძირითად საქმიანობად ისევ რჩებოდა ინვალიდთა უფლებების დაცვა, მათთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენა სხვადასხვა სფეროში, დასაქმების ხელშეწყობა, ინკლუზიური განვითარების დანერგვა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი უფრო აქტიურად ჩართვა, ინვალიდობის თემაზე მომუშავე რეგიონული ორგანიზაციების განვითარება.

ორგანიზაციის ძირითადი სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს ინვალიდობის თემაზე მომუშავე ორგანიზაციები,





შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი ოჯახის წევრები და ახლობლები. თუმცა, ორგანიზაცია ასევე მუშაობს ხელისუფლებასთან, ახალგაზრდებთან, მედიასთან და სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან აღნიშნული საკითხის ირგვლივ ცნობიერების ამაღლების კუთხით.

მუშაობის პროცესში „კოალიცია“ იყენებს საქმიანობის შემდეგ ფორმებს: სემინარები, ტრენინგები, კვლევები, ბროშურების გამოცემა, ფილმების გადაღება და დემონსტრირება. კოალიციის თაოსნობით ჩატარდა 2 კინო ფესტივალი ბათუმსა და თბილისში. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი კინოფესტივალი საქართველოში, რომელიც ინვალიდობის თემას მიეძღვნა. მოეწყო ინვალიდების თემაზე მომუშავე ორგანიზაციების გამოფენა/ფორუმი თბილისში, სადაც მონაწილე ორგანიზაციებმა წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „კოალიციის“ ძალისხმევით თბილისში ჩამოიტანეს ინვალიდებისთვის ადაპტირებული ავტობუსები.



სოციალური საწარმო

ორგანიზაციის დაარსების პირველივე დღეებიდან დამფუძნებლებს ჰქონდათ სურვილი, რომ გადაწყვეტილებებში მაქსიმალურად დამოუკიდებელი ყოფილიყვნენ, აქედან გამომდინარე, მუდმივად იყო ფიქრი ორგანიზაციის ფინანსურ და ინტელექტუალურ დამოუკიდებლობაზე. ჯერ კიდევ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ორგანიზაციას რეგიონებში ფერმერული მეურნეობების განვითარების მცდელობები ჰქონდა, რათა რეგიონულ ორგანიზაციებს ჰქონოდათ საკუთარი რესურსი. თუმცა, როგორც დრომ აჩვენა, ეს იყო მხოლოდ ნიადაგის მომზადება ასეთი ტიპის საქმიანობის დასაწყებად. მიუხედავად იმისა, რომ ამ წამოწყებამ დიდად ფრთები ვერ გაშალა, ეს პერიოდი ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა გამოცდილების დაგროვების კუთხით. მოგვიანებით, 1998 წელს ორგანიზაციის თანამშრომლებს დაებადათ იდეა ეწარმოებინათ ინვალიდთა ეტლები და სპეციალური სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებით აწარმოეს 400 ეტლი. 2003 წელს თბილისს ეწვია „ინვალიდთა მსოფლიო ინსტიტუტის“ თანამ-

შრომელი ბრიუს კურტისი და ამ ვიზიტის დროს დაიბადა იდეა ეწარმოებინათ ეტლები, რომლის მომხმარებლებიც იქნებოდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინვალიდები. 2009 წლიდან, კოალიციამ აქტიურად დაიწყო ეტლების დამოუკიდებლად წარმოება.

კოალიციის საწარმოში ეტლების დამზადების იდეა გაჩნდა, რადგან საქართველოში, ინვალიდებისათვის არაადაპტირებული გარემოს პირობებში, ხარისხიანი ეტლების დეფიციტი არსებობდა. ასევე კოალიციას ამ მიმართულებით გარკვეული ტიპის გამოცდილებაც და უნარ-ჩვევებიც გააჩნდა, ასევე ჰქონდათ წვდომა გარკვეულ მასალებთან.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდამდე საქართველოში ხორციელდებოდა დაბალი ხარისხის სტანდარტული ეტლების იმპორტი და არ იყო გათვალისწინებული მომხმარებლის მონაცემები (წონა, სიმაღლე და ა.შ.). ახალი საინვალიდო ეტლები კი უნიკალური კონსტრუქციისაა, მანევრირებადი საშუალებაა ხრიოკ და უსწორმასწორო ადგილებზე გადსადგეილებლად, მოქნილია მოძრაობისას, აქვს საუკეთესო ბალანსი და ადვილად სამართავია, ადამიანი დაზღვეულია წაქცევისგან, ანუ ამ სახის ეტლი მორგებულია საქართველოში არსებულ გზებზე სასიარულოდ. მას უკვე შეარქვეს კიდევ „ჰველგანმაგალი“, რადგან მისი მეშვეობით ბორდიურების გადალახვა და მოხრეშილ გზებზე სიარული დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშეც შეიძლება.

„ყველგანმავალი“ ეტლის კონსტრუქცია ეტლით მოსარგებლე პირს, რაღაც პოზიციის ეკუთვნის, მასთან ერთად კი პროექტის სულის ჩამდგმელები არიან ბრუს კურტისი და მარკ კრიზაკი. ეს ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქართველ სპეციალისტებთან ერთად საქართველოში ერთი თვის განმავლობაში ეტლის პირველ ნიმუშებს აწყობდნენ.

საყურადღებოა, რომ „ყველგანმავალი საინვალიდო ეტლების“ პროექტს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პარტნიორ ორგანიზაციებთან – „ინვალიდების მსოფლიო ინსტიტუტთან“ და „WhirlWind Wheelchair“-თან ერთად ახორციელებს. პროექტის მიზანია ეტლით მოსარგებლე პირების გააქტიურება და საზოგადოებაში ინტეგრირება. მისი არეალია თბილისი, შიდა ქართლისა და სამეგრელოს რეგიონები, კერძოდ, პროექტი მიზნად ისახავს მცირე ზომის შემკეთებელი სახელოსნოების გახსნას გორისა და ზუგდიდის რაიონებში, სადაც ასევე ინვალიდობის მქონე პირები დასაქმდებიან და ადგილზე შეაკეთებენ-შეარემონტებენ ეტლებს ამ რაიონებში მოსახლე ეტლით მოსარგებლეთათვის, რომელთაც უკვე გადაცემული აქვთ თბილისის საწარმოს მიერ დამზადებული ეტლები. პროექტში სულ დასაქმებულია 22 ადამიანი, საიდანაც 13 საწარმოში მუშაობს, ხოლო 7 მათგანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. ამ ეტაპზე კი ზემოთ აღნიშნულ საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიურად ჩართვა, ვფიქრობთ, თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფოსთანაც გარკვეული ტიპის პარტნიორული ურთიერთობებია დამყარებული, იმართება სამუშაო შეხვედრებიც და არის მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხებზე.

სახელმწიფოსა და კოალიციას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ეტლების წარმოება სუბსიდირებულია. კერძოდ, საწარმოში დამზადებული ეტლების საფასურს „კოალიციას“ უხდის სახელმწიფო, ხოლო ეტლების მომხმარებლები მათ უსასყიდლოდ მიიღებენ.

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების სამინისტრო“, საკუთარ სიებზე დაყრდნობით, ეტლით მოსარგებლეებს უგზავნის წერილებს ვაუჩერის მიღების თაობაზე. აღნიშნული სიის გარდა ვაუჩერი გაიცემა ყველა მსურველზე, რომელიც სამინისტროში წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციასა და განცხადებას, თუმცა დაფინანსების განსაზღვრისას პრიორიტეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოსარგებლებს ენიჭებათ და ასეთ შემთხვევაში ისინი 100%-იან დაფინანსებას იღებენ.

საწარმოს ბაზაზე დამზადებული ეტლებით დაინტერესება საქართველოს ფარგლებსაც გაცდა, კერძოდ, ამ პროდუქციის შექმნის ინტერესი ამერიკელ მორმონთა ორგანიზაციამაც გამოთქვა.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

სასიხარულოა, რომ პირველი ნაბიჯები ამ საწარმოში უკვე გადადგმულია. აქტიურად მიმდინარეობს „ყველგანმავალი“ ეტლების დამზადება. არსებობს სურვილი, რომ ეტლების წარმოების გარდა მასიურად დაიწყოთ მობილური პანდუსებისა და სხვა დამხმარე საშუალებების დამზადება, ამის გამოცდილებაც უკვე აქვს საწარმოს, კერძოდ, მცირე მასშტაბით უკვე განხორციელდა კიდევ, საარჩევნო უბნებისათვის დამზადდა მსგავსი ტიპის მობილური პანდუსები, ასევე შესრულდა ორი კერძო შეკვეთა.



ასეთი ტიპის შემოსავლები კი ორგანიზაციისათვის გარკვეული მდგრადობის საწინდარია. პირველი მოგების რეინვესტირება კი თავად საწარმოში მოხდა.

საწარმომ ფუნქციონირება დაიწყო 2009 წლის სექტემბრიდან.

დღეისათვის სულ გამოშვებულია 183 ეტლი, აქედან 100 სახელმწიფო დაკვეთით ვაუჩერის სახით, 80 სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების დაკვეთით და 3 კერძო დაკვეთით ფიზიკური პირების მიერ.

გარდა ამისა, საწარმოს ამჟამად უკვე მიღებული აქვს დაკვეთა 250 ეტლზე, რაც დამზადების პროცესშია, მათგან ვაუჩერის მფლობელებისგან 100 და სხვა დაკვეთები - 150 ცალი. ასევე სახელოსნოში დამზადებულია 8 მობილური პანდუსი.

საწარმოს დამაარსებლები ვარაუდობენ, რომ მიმდინარე წლის დასასრულისთვის მათი შემოსავალი იქნება 75 000\$, რაც საერთო შემოსავლების 20%-ს შეადგენს.

ასევე ისინი აპირებენ, ეტლების წარმოების გარდა, დაიწყოთ მობილური პანდუსებისა და სხვა დამხმარე საშუალებების სერიული წარმოება, რაც განხორციელდა მცირე მასშტაბით საარჩევნო უბნებისათვის, ასევე შესრულდა ორი კერძო შეკვეთა.

ორგანიზაციის მიზნებსა და მისიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალიზაცია და დასაქმება. როგორც უკვე აღვნიშნეთ საწარმოში დასაქმებულია კოალიციის 13 წევრი, 7 მათგანი კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. ორგანიზაციის მიზნებისა და მისიის გათვალისწინებით, ეს ნამდვილად არის დადებითი მაჩვენებელი. აქვე დავძენთ, რომ ამ ადამიანების დასაქმებით ასევე ამალდა მათი სოციალური სტატუსი. ისინი გახდნენ ოჯახისთვის დოვლათის შემომტანნი, რამაც, შესაბამისად, ძალიან გაზარდა მათი დამოუკიდებლობის ხარისხიც. ეს კი ნამდვილად დადებითი ტენდენციაა.

გარდა ამისა, შესაძლოა აღინიშნოს, რომ 183 ადამიანს ახლა გააჩნია უკეთესი ხარისხის ეტლი და მათი მობილურობა გაიზარდა, 8 ორგანიზაცია აღჭურვილია პანდუსით. ამ ორგანიზაციებში გარემო გახდა უფრო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რაც პირდაპირი წვლილია ორგანიზაციის მისიაში. შესაბამისად, აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია უკვე ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სოციალიზაციას, მათ მობილურობას, დამოუკიდებლობას, თუ საარჩევნო პროცესებში ჩართულობას, რაც მოგების გენერირების გარეშეც, უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნის ხელშეწყობას.



სათემო ორგანიზაცია „ნუკრიანი“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

სათემო კავშირი „ნუკრიანი“ დაფუძნდა 2005 წელს, „კავკასიური სახლის“ და „ელკანას“ დახმარებით. დღესდღეობით სათემო კავშირი „ნუკრიანი“ მათი აქტიური პარტნიორი ორგანიზაციაა და მათთან თანამშრომლობით ჩართულია განვითარების სხვადასხვა პროექტებში. 2010 წლის ივლისში სათემო კავშირი „ნუკრიანი“ და ახალგაზრდული სათემო „კულტურულ-შემეცნებითი ცენტრი“ გაერთიანდა. სათემო კავშირს „ნუკრიანი“ დაემატა ახალგაზრდული პროგრამების მიმართულებაც.

სოფელ ნუკრიანის ახალგაზრდული სათემო „კულტურულ-შემეცნებითი ცენტრი“ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა. სათემო ცენტრის მიზანი გახლდათ სოფლის თემის განათლება – ინფორმირება და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება. ბუნებრივია, რომ ორგანიზაცია სათემო ცენტრის ახალგაზრდებთან მანამდეც თანამშრომლობდა. გაერთიანების შედეგად სათემო კავშირი „ნუკრიანი“ ახალგაზრდა კადრებით შეივსო და ახალი შესაძლებლობებიც განჩნდა.

სათემო კავშირის „ნუკრიანი“ მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო სოლიდარობაზე დაფუძნებული აქტიური თემის განვითარებას.

კავშირი „ნუკრიანის“ მისიაა წვლილი შეიტანოს ნუკრიანის თემის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში, ხელი შეუწყოს აქტიური სამოქალაქო კულტურის დანერგვას. ამ მიზნით, სათემო კავშირი თემის ინტერესებსა და საჭიროებებზე დაფუძნებით, შეიმუშავებს და ახორციელებს განვითარების სხვადასხვა პროგრამებს და თემის მობილიზებით ცდილობს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრას.

მუშაობის პროცესში ორგანიზაცია ეფუძნება შემდეგ მთავარ ღირებულებებსა და პრინციპებს:

- ◆ სოფლის ინტერესების უზენაესობა და დაცვა;
- ◆ სამოქალაქო სოლიდარობა;
- ◆ სოფლის შენარჩუნებული და მოვლილი კულტურული ტრადიციები;
- ◆ სამოქალაქო მონაწილეობა;
- ◆ გარემოს დაცვა, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობა;
- ◆ განათლება, როგორც თემის განვითარების მთავარი ამოცანა.

კავშირი „ნუკრიანის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ◆ კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა;
- ◆ ეკოლოგიური პროგრამა;
- ◆ დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამა;
- ◆ თემის ინტერესების დაცვის პროგრამა;
- ◆ სათემო კავშირის ორგანიზაციული განვითარების პროგრამა;
- ◆ სპორტულ-კულტურული ღონისძიებების პროგრამა;
- ◆ ინფრასტრუქტურის განვითარება.





სოციალური საწარმო - „ნუპრიანის სახელოსნოები“

ნუკრიანის სახელოსნოს ისტორია დაიწყო dvv International-ის მხარდაჭერით 2003-2005 წლებში. ამ დროს სოფელ ნუკრიანის რამდენიმე ქალბატონმა გაიარა სამკერვალო კურსები თბილისში. ხოლო ორგანიზაცია World Vision-მა „კავკასიური სახლის“ სოფელ ნუკრიანის ფილიალს გადასცა 6 საკერავი მანქანა. 2006 წლიდან სოფ. ნუკრიანში ფონდის, Diakonisches Werk, BFDW მხარდაჭერით „კავკასიურმა სახლმა“ განახორციელა პროექტი „გადავარჩინოთ ჩვენი სოფელი“. პროექტი მრავალპროფილიანი იყო და სხვა მიმართულებებთან ერთად ითვალისწინებდა ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე სოფელში შემოსავლის მომტანი კერძო ინიციატივების მხარდაჭერას.

2007 წელს „კავკასიური სახლის“ ინიციატივით, dvv International-ის და გერმანული ფონდის, Diakonisches Werk, Brot fuer die Welt, ფინანსური მხარდაჭერით სოფ. ნუკრიანში შეიქმნა „ქალთა ხელგარჯილობის სახელოსნო“. პროექტის ფარგლებში 17 ქალმა შეისწავლა ხელსაქმე (ჭრა-კერვა, ქვილთი, თექა, ქსოვა, აბრეშუმის ქაღალდის დამზადება, ღებვა, ეროვნული და თანამედროვე თოჯინების დამზადება, სიმინდის ფუჩქით წვნა, ფარდაგის ქსოვა). ჩატარდა მრავალი სასწავლო ღია კურსი და 2 წლის განმავლობაში 50 ქალმა შეისწავლა სხვადასხვა ხელობა; პროექტის დასრულების შემდეგ „კავკასიურმა სახლმა“ სახელოსნოების ინვენტარი, პროდუქცია, მარკეტინგული ნიშანი (ლოგო) გადასცა სათემო კავშირ „ნუკრიანს“, რომელიც ამჟამად მართავს სახელოსნოებს და ეხმარება პროდუქციის რეალიზაციაში. სათემო კავშირის ანგარიშზე ხდება ბრუნვა და შეკვეთის თანხების დარიცხვა.

აღსანიშნავია, რომ სახელოსნოების შექმნა დაემთხვა სიღნაღის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამას. მიუხედავად სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ტრადიციისა ხელოსნობაში, არ არსებობს ადგილობრივი სახელოსნოები, რომლებიც აწარმოებდა პროდუქციას და სიღნაღში გამოფენდა მას. სიღნაღის მუნიციპალიტეტში ერთადერთი მოქმედი სახელოსნო გახლავთ „ნუკრიანის სახელოსნოები“, მისმა პროდუქციამ კი სწრაფად დაიმკვიდრა ადგილი სიღნაღის ბაზარზე.

„ნუკრიანის სახელოსნოები 2008 წლიდან სისტემატურად იღებს მოწვევებს და მონაწილეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში და საქართველოში გამართულ სხვადასხვა გამოფენებსა და ფესტივალებში. 2009 წლიდან აქტიურად მონაწილეობს სიღნაღში, გაზაფხული-ზაფხული-შემოდგომის სეზონზე, შაბათ-კვირას სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსა ხალხური რეწვის გამოფენა-გაყიდვებში. სახელოსნოების პროდუქცია რამოდენიმეჯერ გაიგზავნა აშშ-ში სანტაფესა და გერმანიაში ბერლინის საშობაო გამოფენასა და ფესტივალზე - „მწვანე კვირეული“.

2010 წელს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ დაფინანსდა პროექტი: „ქალთა სახელოსნოების განვითარების ხელშეწყობა“. პროექტი მიზნად ისახავს გაიზარდოს სახელოსნოში ჩართული ახალგაზრდა ქალების რაოდენობა და გაუმჯობესდეს სახელოსნოს ინფრასტრუქტურა დამატებითი მანქანა-დანადგარების შეძენით. პროექტი ამჟამად მიმდინარეობს.

სახელოსნოების პროდუქციას უკვე ჰყავს ერთგულ მომხმარებელთა გარკვეული წრე, ახალი სეგმენტის შემოტანით მათთვის კიდევ უფრო საინტერესო გახდება შეთავაზებული სერვისი; გაიზრდება გაყიდვები, დამატება სხვა სეგმენტის მომხმარებლები, შესაბამისად, გაიზრდება სახელოსნოში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა და შემოსავალი.

„ნუკრიანის სახელოსნოები“ არის წარმატებული სოციალური საწარმო მინიმუმ ორი თვალსაზრისით: სახელოსნოებში დასაქმებული ქალებისთვის მას აქვს ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა, ხოლო „სათემო კავშირი ნუკრიანი“, სახელოსნოებიდან მიღებული მცირედი შემოსავლებით, საკუთარ პროგრამულ პრიორიტეტებს ახორციელებს.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

სახელოსნოების გაძლიერება სათემო კავშირის გაძლიერებას უწყობს ხელს. 2010 წელს ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების მაჩვენებელი საერთო შემოსავლებთან მიმართებაში 40%-ს შეადგენს.

2009 წელს რეალიზებულია 10 000 ლარის პროდუქცია, ხოლო 2010 წლის სექტემბრამდე უკვე 6000 ლარის პროდუქცია გაიყიდა. სახელოსნომ უკვე მიიღო პირველი სერიული შეკვეთა საახალწლო აქსესუარებზე პროკრედიტ ბანკისგან.

ამჟამად სახელოსნოებში დასაქმებულია 17 ქალბატონი (მარტოხელა, მრავალშვილიანი დედები, ქვრივები). მათთვის სახელოსნოებს აქვს სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა.

სახელოსნოების გაყიდვებიდან შემოსულ თანხას იღებენ მუშაობაში ჩართული ქალები. გარკვეული პროცენტი ხმარდება სახელოსნოს კვლავწარმოებას და სათემო კავშირის წესდებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ სახელოსნოების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სათემო კავშირის პოპულარობა სოფელში, გაიზარდა ორგანიზაციის ცნობადობა. შედეგად, მოსახლეობა უფრო აქტიურად ერთვება ორგანიზაციის ღონისძიებებში, როგორცაა დასუფთავების, გამწვანების აქციები და სხვა.



სათემო კავშირი „ჰერეთი“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ ჰერეთისკარში ცხოვრობს 1989 წლის აჭარის სტიქიური მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობა. სულ სოფელში 130 კომლია.

2008 წელს ფონდ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ დაფინანსებით ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ცენტრი „ჰერეთი“, რომელიც აქტიურად მუშაობს სოფელში არსებული პრობლემების მოგვარებაზე.

სათემო ცენტრის მიზანია ახალგაზრდების გააქტიურებით, სოფლის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება და სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. სათემო ცენტრის ახალგაზრდებმა დაისახეს მიზანი ეზრუნათ სოფელში არსებული პრობლემების მოგვარებაზე, მოსახლეობის ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებაზე.

სოფელში მოსახლეობის გამოკვლევის შედეგად გამოვლენილი არა ერთი პრობლემა გადაწყდა სათემო ახალგაზრდული ცენტრი „ჰერეთის“ თაოსნობით. კერძოდ, საბავშვო ბაღს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, გაიწმინდა ქუჩის სანიაღვრე არხები. „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ დაფინანსებით შენდება საზაფხულო კლუბი. სოფელში არ არსებობდა არანაირი კულტურული და გასართობი დაწესებულება, არ არის სამედიცინო პუნქტი, არადა სოფელი რაიონიდან 30 კილომეტრით არის დაშორებული, ასეთი მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი იყო სათემო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტები.

სოფელ ჰერეთისკარის სათემო ახალგაზრდული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებთან - მონაწილეობს ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის პროცესში და ზრუნავს ბიუჯეტში სოფელში არსებული პრობლემების გათვალისწინებაზე. ამ თანამშრომლობის შედეგად სოფელში გაიჭრა სანიაღვრე არხები, რის შედეგადაც არა მხოლოდ ალაზნის ჭალების ტყის დაჭაობებით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები მოგვარდა, არამედ მოსახლეობამ ადრე დაჭაობებული 20 ჰა მიწის სამოვრად და სახნავ-სათესად გამოყენება დაიწყო.

სათემო ცენტრის მიერ მოსახლეობის გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ მოსახლეობას ესაჭიროება კონსულტაციები სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე. საინიციატივო ჯგუფის წევრები, საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის დახმარებით, სოფლის მოსახლეობას უზრუნველყოფს ასეთი ტიპის კონსულტაციებით.

სოციალური საჭარბო

სოფელ ჰერეთისკარში ძირითადად აჭარის მაღალმთიანი რეგიონიდან გადმოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობს, რომლისთვისაც ტრადიციული საქმიანობა მესაქონლეობა იყო. კახეთის მხარეში ნოყიერ მიწებზე დასახლებამ ამ სოფლის მოსახლეობას სტიმული მისცა მეცხოველეობის გარდა, მებისტნეობა-მესათბურეობის საქმიანობაც დაეწყო, რაც გლეხისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო და სოფლის გაძლიერების საფუძველი გახდებოდა.

სოფელში მესათბურეობა-მეზოსტნეობის განვითარების და გაფართოების მიზნით, მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემა გახდა სოფელში საკუთარი შეაბამისი ტექნიკის არსებობა. სოფელს



საკუთარი ტრაქტორი არ გააჩნდა, მიწაზე მუშაობის ვადაში ტრაქტორის დაქირავებაზე შეზღუდვის გამო კი სავარგულების დიდი ნაწილი (2,5 ჰა) დაუმუშავებელი რჩებოდა.

სათემო ცენტრმა მოამზადა პროექტი, რომელმაც გაიმარჯვა სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსში, და შედეგად 2010 წლის სექტემბერში შეიძინა მინიტრაქტორი, რითაც შესაძლებელი გახდება სოფლის მოსახლეობის მომსახურება აგროვადების გათვალისწინებით. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობისათვის დიდი შედეგია, რომელსაც უკვე შეუძლია, რომ იქირავოს ტრაქტორი მინიმალურ ფასში. ამასთანავე, ეს ტრაქტორი მთლიანად ორიენტირებული იქნება სოფელ ჰერეთისკარის მოსახლეობის მომსახურებაზე, რომელსაც უკვე აღარ უწევს მეზობელ სოფლებში ტრაქტორის დასაქირავებლად დროისა და ენერჯის ხარჯვა. ის ფაქტი, რომ სოფელს უკვე ჰყავს ტრაქტორი, ძალზე აიოლებს ადგილობრივი ფერმერებისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროვადებში ჩატარებას, შედეგად, უზრუნველყოს მათთვის მოსავლიანობის და შემოსავლების ზრდას.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

2010 წლის შემოდგომის სეზონზე, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკა სექტემბერში იქნა შეძენილი, ორგანიზაციამ უკვე მოასწრო მინიტრაქტორის დატვირთვა, ხოლო მომავალი წლიდან აგრო-სეზონის მანძილზე სრული დატვირთვით იმუშავებს. სახნავი სამუშაოები დაიწყო ოქტომბრიდან, ამ ეტაპისათვის ჰერეთისკარში დამუშავდა 30 000 მ კვ., საიდანაც შეკვეთით მეზობელ სოფელში დამუშავდა 20 000 მ კვ. მიწის ფართი, ხოლო შემოსავალი შეადგენს 575 ლარს.

სოფელ ჰერეთისკარში ბევრი მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახია. ამ გარემოების გათვალისწინებით, სათემო ცენტრმა ტრაქტორით მომსახურებაზე შემდეგი სახის შედეგები დააწესა:

- ♦ მარტოხელა დედებისა და მარტოხელა მოხუცებისათვის - 100%-იანი უფასო მომსახურებით 1000 კვადრატული მიწის დამუშავებაზე (სოფელში ცხოვრობს 1 მარტოხელა დედა, და 7 მარტოხელა მოხუცი);
- ♦ მრავალშვილიან ოჯახებზე და პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის შედეგად 30%-იანი ფასდაკლება. (სოფელში 5 მრავალშვილიანი ოჯახი და 2 პირველი ჯგუფის ინვალიდია).

ამ ეტაპზე სათემო ცენტრმა შედეგითიანი მომსახურება უკვე გაუწია 3 ოჯახს.

მომსახურებიდან შემოსული შემოსავალი მოხმარდება სათემო ცენტრის განვითარებას და სოფლისთვის ახალი პრობლემების მოგვარებას.



„სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

„სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“ შეიქმნა 2007 წლის თებერვალში „საარსებო საშუალებების მდგრადი განვითარებისა და რეგიონული დაგეგმვის“ (SLAR) პროექტის ფარგლებში, რომელსაც CARE International ახორციელებდა.

სასოფლო საკონსულტაციო სამსახური დაარსდა ადგილობრივი ფერმერების, ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტების, SLAR პროექტის და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ.

სასოფლო საკონსულტაციო სამსახურის საქმიანობის ძირითადი სფეროა სოფლის მოსახლეობის/ფერმერების სწავლება-კონსულტირება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობაში.

ორგანიზაციის მისიაა აგრარული სექტორის განვითარება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხოლო მისი მიზნებია: სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერა საარსებო საშუალებათა მდგრადი განვითარების ხელშეწყობის გზით; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და გარემოს დაცვა.

ორგანიზაციის ძირითადი სამიზნე ჯგუფია ზოგადად, ახალციხის ფერმერები და სოფლის მეურნეობაში ჩართული სხვა პირები.

ორგანიზაცია სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს, კერძოდ:

- ♦ აგროსაკონსულტაციო მომსახურება, რომელიც დაარსების დღიდან მიმდინარეობს. 2007 წლიდან 2010 წლის სექტემბრამდე 12,000-ზე მეტ ადამიანს გაუწია კონსულტაცია.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კონსულტაციებს გასცემენ როგორც ორგანიზაციის ოფისში, ისე აგრომაღაზია „ფერმერში“ და სხვადასხვა სოფლებში ვიზიტების დროს. 2007 წლიდან 100-ზე მეტი ერთობლივი ვიზიტი განხორციელდა სოფლებში, ვიზიტის დროს ადგილობრივ ფერმერებს საშუალება მიეცათ ადგილზე ესარგებლათ „სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“-ს სპეციალისტების მომსახურებით.

საკონსულტაციო მომსახურებაზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. 2007-2008 წლებში მომსახურებით 3000 ადამიანმა ისარგებლა, 2009 წელს ამ მაჩვენებელმა 4000-ს მიაღწია, ხოლო 2010 წელს – 5000-ს გადააჭარბა.

- ♦ ტრენინგები სოფლის მეურნეობის სფეროში და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით.

2007-2010 წლებში „სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“-ს სპეციალისტებმა მოამზადეს 34 ტრენინგ-კურსი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებში (მეცხოველეობა, მემცენარეობა, მეფუტკრეობა და ა.შ.).

დღემდე ორგანიზაციის მიერ სოფლებში და ორგანიზაციის ოფისებში სოფლის მოსახლეობისათვის ჩატარა 136 ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა 2000-ზე მეტი მონაწილე.

- ♦ სადემონსტრაციო საქმიანობა ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა და მიზნად ისახავს ახალი ჯიშებისა და ახლი ტექნოლოგიების დანერგვას და ინფორმაციის გავრცელებას ფერმერებში.

პირველ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ამზადებენ სადემონსტრაციო მოდელს



დოკუმენტალურად. შემდგომ არჩევენ ფერმერს და ნაკვეთს ამ საქმიანობისათვის და ფერმერთან ერთად ახორციელებენ ნაკვეთის მოვლას და მონიტორინგს. ნაკვეთზე ტარდება „ღია კარის დღეები“, სადაც მოწვეული არიან ფერმერები მეზობელი სოფლებიდან, მუნიციპალიტეტების და ასევე მედიის წარმომადგენლები.

2007 წლიდან 2010 წლამდე მოეწყო 64 სადემონსტრაციო ნაკვეთი 25 სხვადასხვა მოდელით, რაც 3000-ზე მეტმა ფერმერმა მოინახულა.

„სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“ აქტიურ პროპაგანდას ეწევა ისეთ ღონისძიებებზე როგორცაა: გარემოს დავითი პრობლემები (გაუდაბნობა, ნიადაგის ეროზია); მცენარეთა დაცვის საშუალებების ზომიერი გამოყენება; ენდემური სახეობების მცენარეების დაცვა; მეცხოველეობაში ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების ზომიერება.

ორგანიზაციაში დასაქმებულია ადგილობრივი სპეციალისტები: აგრონომები, ვეტერინარები, მეფუტკრე, თემის მობილიზატორები და ადმინისტრაციული მუშაკები ა.შ. ამჟამად ორგანიზაციაში დასაქმებულია 12 ადამიანი.

ორგანიზაციის ჩამოყალიბების და განვითარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა დონორებმა: ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი (DFID), ქეა საერთაშორისო კავკასიაში (CARE International), MSG / CNFA - ADA პროექტი, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSRDG), ბრიტანეთის საბჭო (BC).

სოციალური საწარმო

„სასოფლო საკონსულტაციო სამსახურ“-ის მიერ აგრომალაზია „ფერმერი“-სა და მექანიზაციის სერვისის მოსახლეობისათვის შეთავაზება განაპირობა ფერმერთა მხრიდან ამ საქმიანობაზე მოთხოვნამ და ამავე დროს ორგანიზაციის მიზნების და შესაძლებლობების (ადამიანური და ფინანსური) თანხვედრამ.

ორგანიზაციის მიზნების და მისიის შესრულების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, 2008 წელს გაიხსნა სასოფლო სამეურნეო აგრომალაზია „ფერმერი“. მალაზიის გახსნის მიზანია ფერმერებისათვის მაღალხარისხიანი პროდუქციის და აღჭურვილობის მიწოდება, და ამით მათი პროდუქციის მოსავლიანობის და ხარისხის გაუმჯობესება, შედეგად კი შემოსავლების ზრდა და უკეთესი საარსებო პირობები.

მალაზია გაიხსნა „საარსებო საშუალებების მდგრადი განვითარებისა და რეგიონული დაგეგმვის“ (SLAR) პროექტის დახმარებით.

2009 წლის აგვისტოდან აღიგენში, ხოლო 2010 წლის მარტიდან ასპინძაში გაიხსნა აგრომალაზია „ფერმერის“ ფილიალები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფერმერების ხელმისაწვდომობა სასოფლო სამეურნეო საშუალებებზე

მალაზიების ქსელი მოსახლეობას სთავაზობს 500-ზე მეტი სახეობის პროდუქციას, მათ შორის სათესლე მასალებს, ვეტერინარულ მედიკამენტებს, სასუქებს, ფერმერებისთვის დიდ და მცირე ზომის სამუშაო იარაღს. იგი უკვე კარგად არის ცნობილი საუკეთესო, მაღალხარისხიანი თესლის, სასუქისა და მცენარეთა დაცვის საშუალებები ფართო ასორტიმენტით. სასოფლო სამეურნეო პროდუქცია და აღჭურვილობა ყოველთვის არის წარმოდგენილი „სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“-ის მიერ მოწოდებულ დემონსტრაციებზე, ბევრი ფერმერი ხდება მალაზიის რეგულარული მომხმარებელი.



2009 წლის მეორე ნახევარში ორგანიზაციამ შეიძინა 40 ც.დ. ტრაქტორი და რამდენიმე ავრევატი, რომელსაც მეშვეობითაც გააფართოვა საკუთარი საქმიანობის არეალი და 2010 წლიდან დაიწყო ფერმერებისათვის ახალი მექანიზაციის სერვისის შეთავაზება. ამ პერიოდისათვის ორგანიზაცია სთავაზობდა: მოხვნის, ფრეზირების, თიბვის, ფორცხვის მომსახურებას. ხოლო 2010 წლიდან ორგანიზაციამ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრიდან მოპოვებული საგრანტო თანხებით დამატებითი ავრევატების შეძენის შედეგად (შეიძინა კარტოფილის დამოესი, ამღები და შესასხურებელი), ფერმერებისთვის სექტემბრიდან დაიწყო ამ მომსახურებების შეთავაზებაც. აღსანიშნავია, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს ორგანიზაცია ემსახურება უფასოდ.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

- დღეისათვის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მანევრებელი ორგანიზაციის საერთო შემოსავლების დაახლოებით 90%-ს შეადგენს.
- 2008 წლიდან 2010 წლის სექტემბრამდე აგრომაღაზიები 61500-ზე მეტ მომხმარებელს მოემსახურა. ადგილობრივი მაღაზიების გახსნით ადგილზე, გზის დანახარჯის გაწვევის გარეშე, მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდა მრავალფეროვანი ფერმერისათვის საჭირო პროდუქციის შექმნა, კერძოდ შეთავაზებული პროდუქციის მრავალფეროვნებით აგრომაღაზია ფერმერი კონკურენციას უწევს არა მხოლოდ ადგილობრივ სხვა მაღაზიებს, არამედ თბილისში არსებულ ფერმერულ მაღაზიებსაც.
- ორგანიზაციაში არსებული მექანიზაციის სერვისის მოსახლეობისათვის შეთავაზებით ადგილობრივ ფერმერებს შესაძლებლობა მიეცათ მიიღონ შესაბამისი მომსახურება აგროვადებში რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მათთვის.
- ბოლო ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციამ, ეკონომიკური საქმიანობის წარმოების შედეგად, მნიშვნელოვნად გაზარდა აქტივების ოდენობა და გაიუმჯობესა ფინანსური მანევრებლბები. 2009 წლის განმავლობაში ორგანიზაციის საქმიანობა მთლიანად დაფინანსდა მაღაზიიდან შემოსული თანხებით.
- ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კონსულტაციები არის უფასო. ასევე ტრენინგების მნიშვნელოვანი ნაწილი ფერმერებს მიეწოდებათ ანაზღაურების გარეშე. 2009-2010 წლებში ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ გაწეული უფასო კონსულტაციები, ტრენინგები და სადემონსტრაციო საქმიანობები მნიშვნელოვანი ნაწილი დაფინანსდა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.
- 2010 წლიდან ორგანიზაციამ დაიწყო სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარება, რომელთაც მექანიზაციის სერვისებს სთავაზობს უფასოდ. დღეისათვის მსგავსი ტიპის მომსახურება უკვე ათეულამდე ოჯახმა მიიღო.
- სამეწარმეო საქმიანობამ დამატებითი სამუშაო ადგილები შექმნა რაიონში. მაღაზია აგროფერმერში დასაქმებულია ორგანიზაციის 8 თანამშრომელი, ხოლო ბოლო ერთი წლის განმავლობაში ასპინძაში გახსნილ აგრომაღაზიის ფილიალში კიდევ 4 ადამიანი დასაქმდა.

ჩამოყალიბებიდან გასული 3 წლის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა საქმიანობამ აამაღლა ორგანიზაციის იმიჯი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფერმერებსა და ადგილობრივ მთავრობაში. ამჟამად ორგანიზაციას კარგად იცნობენ როგორც რეგიონში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში, როგორც სოფლის მეურნეობის სფეროში მრავალფეროვანი სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას (კონსულტაციები, ტრენინგები, სასოფლო მასალები, მექანიზაცია და ა.შ.).



საზოგადოებრივი ორგანიზაცია

ასოციაცია „ქალი და განვითარება“ დაფუძნდა 2004 წელს შიდა ქართლში ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის ადგილობრივი აქტივისტების მიერ. ასოციაციის დაფუძნება განაპირობა მისი საინიციატივო ჯგუფის წევრების ხანგრძლივმა გამოცდილებამ მესამე სექტორში, სხვადასხვა ორგანიზაციების ქალთა და გოგონათა საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამებში მონაწილეობამ, არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გამოყენების სურვილმა უფლებების დაცვის და განვითარების საქმეში.

ორგანიზაციის მისიაა გენდერული განათლების ხელშეწყობა საქართველოში, შიდა ქართლში მცხოვრები ყველა ქალის და გოგონას ადამიანური უფლებების დაცვა განურჩევლად მათი პოლიტიკური, ეთნიკური, სექსუალური, რელიგიური ან სოციალური წარმოშობისა, ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გაძლიერება, ქალთა და გოგონათა ჩაბმა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების და დემოკრატიული განვითარების პროცესებში.

ორგანიზაცია მუშაობს შიდა ქართლის რეგიონში.

„ქალი და განვითარება“ ახორციელებს აქტიურ და სტრატეგიულ ინტერვენციებს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

1. მიზნობრივი ჯგუფების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, რათა ქალები და გოგონები გახდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილეები და არა სერვისების პასიური მიმღები;
2. მუშაობა გენდერულ საკითხებზე, სქესობრივ, რელიგიურ, ასაკობრივ, ეთნიკურ, ეროვნულ და სხვა ფაქტორებზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე;
3. ადგილობრივ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში ქალების და გოგონების თანასწორი მონაწილეობის ხელშეწყობა და მათ სასარგებლო სოციალური ცვლილებების გამოწვევა;
4. ადგილობრივ უფლებათა დამცველი აქტივისტების და მოხალისე ქალების და გოგონების შესაძლებლობების და ცნობიერების მაღლება, რათა უკეთ შეძლონ ქალთა ადამიანური უფლებების დაცვა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესაბამისი მონიტორინგი და დოკუმენტირება.

ორგანიზაცია მიზნობრივი ჯგუფებს სთავაზობს შემდეგი სახის სერვისებსა და ინტერვენციებს:

- ◆ უფლებების დამცავი და ფსიქოლოგიური კონსულტაციები;
- ◆ ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ოჯახის დაგეგმვის, ბიზნეს უნარების და პიროვნული განვითარების საკითხებზე;
- ◆ პროფესიული გადამზადების კურსები;
- ◆ სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა;
- ◆ დევნილთა და ადგილობრივ თემში მცხოვრები ქალების და გოგონების ერთობლივი ინიციატივების ხელშეწყობა;
- ◆ საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიების ორგანიზება და ამ კამპანიების ფარგლებში საინფორმაციო მასალების მიწოდება ოჯახური ძალადობის, გენდერული კანონის, ქალის უფლებების დამცავ ადგილობრივ და საერთაშორისო მექანიზმებზე, ოჯახის დაგეგმვის, ქალურ





დაავადებათა დიაგნოსტიკასა და პრევენციებზე, რეპროდუქტიულ ჯანმრთელობაზე, მკერდისა და საშვილოსნოს კიბოს ადრეულ ეტაპზე აღმოჩენის მეთოდებზე, შიდსზე და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა ინფექციებზე;

- ◆ სოციალური მეწარმეობის განვითარება.

სოციალური საწარმო

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილი და საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილი ქალებისა და გოგონების დასაქმების მიზნით 2010 წლის ოქტომბრიდან ამუშავდა სოციალური საწარმო – საკონდიტრო საცხობი.

საწარმო - საკონდიტრო საცხობში საწყის ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე სახის პროდუქცია მზადდება, კერძოდ, ხაჭაპური, ლობიანი, ღვეზელი. აღნიშნული პროდუქცია მიეწოდება ადგილობრივ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ბიზნეს ორგანიზაციებს.

საწარმოს დაარსება შესაძლებელი გახდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

სოციალური და ეკონომიკური შედეგები

საწყის ეტაპზე ორგანიზაციის პროდუქციის მომხმარებელი იყო 2 სკოლა. თანდათან საცხობის პროდუქციაზე მოთხოვნა გაიზარდა. ამჟამად საცხობი უკვე 5 ადგილობრივ სკოლას და 3 მაღაზიას ამარაგებს პროდუქციით. მომავალში დაგეგმილია არა მხოლოდ შემკვეთი ობიექტების რაოდენობის გაზრდა, არამედ წარმოებული პროდუქციის სახეობის გამრავალფეროვნებაც.

დღეს საწარმოში დასაქმებულია ექვსი ადამიანი, რომელთაგან სამი ქალბატონი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილია. ქალთა და გოგონათა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სიღარიბის დაძლევაზე მომუშავე ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი იყო ამ ქალბატონების დასაქმება და მათთვის ეკონომიკური სტიმულის შექმნა და გაუმჯობესება.

ეკონომიკურ საქმიანობას გარკვეული წვლილი შეაქვს ორგანიზაციის ფინანსურ მდგრადობაშიც. საგრანტო დაფინანსებებს შორის ერთთვიანი წყვეტის პერიოდში ორგანიზაციის დაფინანსება შესაძლებელი გახდა ეკონომიკური საქმიანობიდან.



გორი, თამარ მეფის
პირველი შესახ., ბ. 4
ტელ: 8 270 70080
ელ. ფოსტა: wdevelopm@gmail.com



თბილისი, დელისის I შესახვევი 5 ა
ტელეფონი: (995 32) 39 90 19
ტელ./ფაქსი: (995 32) 39 90 18
office@csrdg.ge www.csrdg.ge